# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 195 (5796)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge   ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika   ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ეტყობა, ყველა ელოდა ასეთი „ჩორტის" ჩამოგდებას




**რა კავშირი აქვს ქუთაისის ბაღში ასი წლის წინათ ნაცემ პოლიციელს ბრიგალაშვილისეულ მოღალატეებთან**

იმის მიუხედავად, რომ პარლამენტის გუშინდელ სხდომას გაერთიანებული ოპოზიცია არ ესწრებოდა, სიმწვავე არ მოკლებია. თავიდან სხდომას ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე არ უმსჯელია, მაგრამ გოჩა ჯოჯუას განცხადების შემდეგ, დარბაზი გამოცოცხლდა და გააქტიურდა — ეტყობა, ყველა ელოდა ასეთი „ჩორტის" ჩამოგდებას.

გოჩა ჯოჯუამ პარლამენტის მოჩვენებითი სიმშვიდე სირაქლემის პოზას შეადარა, როცა თავს იტყუებენ, ქვეყანაში კი კრიტიკული და დაძაბული ვითარებაა შექმნილი.

გოჩა ჯოჯუამ დამრიგებლური ტონით მიმართა პარლამენტარებს, რომ უწინარესად მათზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი, რომ სწორედ მათ არ უნდა მისცენ სხვა ქვეყნებს უფლება, ზემოქმედება მოახდინონ საქართველოზე, და რომ იგი ეთანხმება პრეზიდენტს — საქართველოს ბედი საქართველოში წყდება, და არა სხვა ქვეყნის დედაქალაქებშიო.

ჯოჯუას აზრით, ირაკლი ოქრუაშვილის აღიარებით ჩვენებას არაფერი შეუცვლია, ვითარება ისევ დაძაბულია. მან პარლამენტარებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ საგამოძიებო კომისიის სხდომას. „თუ ვინმე სვანიძე წილს უმართებულოდ ფლობდა და ის წილი შემდგომ სხვა ვილაცაზე გადაიტანეს, ვფიქრობ, ის იყო მოქალაქეთა კავშირის პარტიული წილი. იქნებ, სწორედ ამ კუთხით შეიქმნას გამოძიება. იქნებ, ერთი ტყუილი მაინც არის იმ დადგმულ სპექტაკლში".

ჯოჯუა ფიქრობს, რომ საგამოძიებო კომისია განმუხტავდა ვითარებას, ანუ ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანდა.

სესიაზე, პარლამენტარმა ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარემ კახა გეწაძემ განაცხადა, რომ იკრიბება ოლიმპიური კომიტეტი, რათა დაისვას საკითხი ბადრი პატარკაციშვილისთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზეო.

ამ საკითხს „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ფიქრია ჩიხრაძე გამოეხმაურა: „თუ მთელი ეს ბაკქანალია იმას ემსახურებოდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენების შემდეგ, ბადრი პატარკაციშვილისა და ტელეკომპანია „იმედის" დევნა დაწყებულიყო, ავლნიშნავ, რომ ეს არაგონივრული და არადემოკრატიული ნაბიჯია. ვგულისხმობ ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მიმართ უნდობლობის გამოცხადებას. ბადრი პატარკაციშვილმა ძალზე ბევრი რამ გააკეთა ქართული სპორტისთვის. იმედი მაქვს, ქართველი სპორტსმენები ამას გაიხსენებენ და ისე არ მოიქცევიან, როგორც რამდენჯერმე მოიქცნენ ხელისუფლების დაკვეთით".

ფიქრია ჩიხრაძემ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებს მიმართა, ნუ ჩაერევით სპორტის საქმეებში და მათ ნორმალური მომზადების საშუალება მიეცეთო. „არა მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა სპორტის ფლაგმანი უნდა იყოს", — განაცხადა მან.

უმრავლესობა გაალიზიანა გოჩა ჯოჯუას განცხადებამ, მას აღელვებული ტონით გამოეხმაურა დავით კირკიტაძე, „ჭკვიანი სახის ოპონენტის ჯოჯუას ლექციის პასუხად", მან ნიშნის მოგებით განაცხადა, რომ თურმე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ბოლო დროს 16-ჯერ იყო რუსეთის საელჩოში და უშუალოდ იქიდან იღებდა ინსტრუქციებს. და ამის შემდეგ „თქვენ გველაპარაკებით, რომ ქვეყნის ბედი მის შიგნით გადაწყდეს?"

თვითდაჯერებულმა კირკიტაძემ, „ოპონენტების გულის გასახეთქად" თქვა, რომ ისინი — პრეზიდენტი და უმრავლესობა — სწორედ ქვეყნის შიგნით მოაგვარებენ პრობლემებს და არეულობის მოსურნეები მიზანს ვერ მიაღწევენ.


2


**ხმა ხალხისა**

„ამ ხელისუფლებას ზეწოლისა და დაშინების უამრავი მეთოდი აქვს!"


2




## ნონა გაფრინდაშვილი:

## შექმნილი ვითარება ძალადობის შესანიშნავი ნიმუშია


13


## სახელმწიფო თუ წუწკი მევახშე?




4




თქვენო უდიდებულესობავ, საქართველო გიცდით...


5

● ამ განცხადებების დროს პარლამენტის თავმჯდომარეს ხმა არ ამოუღია, ანუ უცნობი დარჩა, რას ილონებს პარლამენტი ქვეყანაში შექმნილი კრიზისის განსამუხტავად



№ 195. ოთხშაბათი. 10 ოქტომბერი. 2007 წელი.

◎ კანონმდებლები

# ეტყობა, ყველა ელოდა ასეთი „ჩორტის" ჩამოგდებას!..

(პირველი გვერდიდან)

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა თავისი გამოსვლა სერგო კლდიაშვილის მოგონებით დაიწყო, რომელიც ბაბუის — სამსონ კლდიაშვილის ამბავს იხსენებს. ეს ბაბუა თურმე ქუთაისის ბალში სეირნობდა. უცებ დაინახა პოლიციელი, რომელიც მისი პირადი მტერი იყო და „მივარდა, ფეხქვეშ ამოიდო და ლაზათიანად მიტყიპა. ამ დროს სხვა პოლიციელებიც მოცვივდნენ. ჭკვიანი იმერელი პოლიციელს ქვემოდან მოექცა და თავად მორთო ღრიალი, მიშველეთ, მკლავენო... და ის პოლიციელი დააპატიმრებინა, რომელსაც თავად კლავდა".

ასეთი, გრიგალაშვილისეული „მახვილგონივრობის" შემდეგ, უმრავლესობის წევრმა დაასკვნა, რომ ყველანაირი გაუგებარი ცილისწამება და ბრალდება ოპოზიციამ მათზე გამოაფრქვია, მაგრამ ისინი საკუთარ ხაფანგში თავად აღმოჩნდნენ და ახლა ყვირიან, გვიშველეთ, გვავიწროვებენო.

გრიგალაშვილმა მათ კლასიკურ ღალატში დასდო ბრალი და ბალვაშებად, შადიმან ბარათაშვილებად და ყორღანაშვილებად მოიხსენია.

განათლების კომიტეტის თავმჯდომარე უარყოფს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. „კრიზისი იმ პარტიაშია, სადაც შენ შედიხარ. მუდმივად რომ დაწანწალებ ერთი პარტიიდან მეორეში. ლაკმუსი ხარ, სადაც შეხვალ, დამთავრებულია საქმე", — მიმართა მან ჯოჯუას.

ხოლო ნაცმოძრაობის ბოლო დროს „ამოტივტივებულმა" სახემ ვახტანგ ბალავაძემ ოპოზიცია ხალხის მოტყუებაში დაადანაშაულა. „ხალხს ატყუებენ, თითქოს რაღაც ხდება. ყველაფერს ეკიდებიან, გაჭირვებული ხავსს ეჭიდებაო, ისეა მაგათი ამბავი". მან ოპოზიციას მოუწოდა აქცია 7 ნოემბერს ჩაატარონ რათა მათთან, საიდანაც დირექტივებს იღებენ, უფრო შეთანხმებულად იმუშავონო.

ანუ დეპუტატები კვლავ ვერსად გაექცნენ რუსეთის ფაქტორს. 2 ნოემბერს ოპოზიციის დაგეგმილი მიტინგი თურმე ნატოს თემაზე თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას ემთხვევა. „საქართველოს რამდენიმე უცხო ქვეყნის პრეზიდენტი ესტუმრება. გამორიცხულია; 2 ნოემბრის მიტინგს კონფერენციასთან რაიმე კავშირი არ ჰქონდეს და რიცხვი გამიზნულად არ იყოს შერჩეული. ლოგიკური იქნება, რომ მსგავსი მითითება რუსეთიდანაც არსებობდეს", — თქვა უმრავლესობის წევრმა ნინო კალანდაძემ.

ეს აზრი დავით კირკიტაძემაც გაამყარა, 2 ნოემბრის შესახებ ინსტრუქცია ოპოზიციამ რუსეთის საელჩოდან მიიღო, სადაც მათი ერთ-ერთი ლიდერი (იგულისხმება გოგა ხაინდრავა) დაიარებაო — ნატოს თემებზე დაგეგმილი კონფერენციის დღეს ამ აქციის დამთხვევა. „სწორედ საქართველოს სახელმწიფოს დისკრედიტაციას ემსახურებაო".

კირკიტაძემ ოპოზიციას რუსეთის წისქვილზე წყლის დამსხმელები უწოდა და თავდაჯერებულად მიმართა მათ, „ამ ქვეყნის ბედი სწორედ საქართველოში გადაწყდებაო".

რუსეთის თემა ხელოვნურად აგორებულს ჰგავდა. ნაცმოძრაობის აქტივისტებს რატომღაც არ გახსენებიათ, რომ ოპოზიციის ლიდერები ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იმყოფებოდნენ და იქ მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებს შეხვდნენ. იქაც რა, რუსეთის მითითებები მიიღეს?

კირკიტაძეს გამოეხმაურა გოგა ხაინდრავა და მას ცრუ, მატყუარა უწოდა. ხაინდრავა თურმე სულ ერთხელ ყოფილა რუსეთის საელჩოში ვიზის ასაღებად. კირკიტაძემ თავის წარსულში ჩაიხედოსო.

**ამ განცხადებების დროს პარლამენტის თავმჯდომარეს ხმა არ ამოუღია, ანუ უცნობი დარჩა, რას ილონებს პარლამენტი ქვეყანაში შექმნილი კრიზისის განსამუხტავად.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ხმა ხალხისა

# „ამ ხელისუფლებას ზეწოლისა და დაშინების უამრავი მეთოდი აქვს!"

**საზოგადოებრიობა** თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალურმა აღიარებამ ერთობ დააბნია. ზოგიერთი ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზად, მასზე ძლიერი ამ ზემოქმედებას მიიჩნევს. გაერთიანებული ოპოზიცია კი სამოქმედო გეგმას არ ცვლის და საზოგადოებრიობას აქციებისკენ მოუწოდებს. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება კარგა ხნით არ დაწყნარდება. ხელისუფლებას კი მთელი ყურადღება პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე აქვს გადატანილი და საზოგადოებრიობის ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად ნაკლებად იცლის.

ყოფილი მინისტრი პატიმრობიდან გირაოს საფუძველზე გაათავისუფლეს. მან გირაოს ნაწილი გადაიხადა, მაგრამ მისი აღიარება ფაქტად რჩება.

ირაკლი ოქრუაშვილის აღიარებაზე თავიანთი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს პირდაპირ ქუჩაში ვკითხეთ.

**თენგიზ გოგიბერიძე:** ეს ძალზე რთული საკითხია. ორივე მხარეს დანაშაული მიუძღვის, მაგრამ ეს კიდევ გამოსარკვევია. ასე რომ, კონკრეტულად იმის თქმა, რომ მხოლოდ ერთი მხარეა დამნაშავე, შეუძლებელია. ირაკლი ოქრუაშვილი ამ აღიარებისას გარეგნულად ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა, აი პარტიის დაფუძნებისას კი ძალზე ომახიანი და გაბედული იყო. ახლა შეშინებულს ჰგავდა. ჩემთვის მისი განთავისუფლება მოულოდნელი იყო. ნუთუ, ასე მალე შეაგროვა 10 მილიონი? მიმაჩნია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მთლად უდანაშაულოც არ უნდა იყოს. ამას გამოძიება დაადგენს, მაგრამ მეეჭვება, რომ სიმართლე მალე გავიგოთ.

## „ნუთუ, ასე მალე შეაგროვა 10 მილიონი?!"

**გიორგი ონიანი:** ჩემი აზრით, ირაკლი ოქრუაშვილი ნაწამებია და გაუაზრებლად ლაპარაკობდა. მას წამებისა და ზეწოლის კვალი აშკარად ემჩნეოდა. თუ მან გირაოს თანხა გადაიხადა, მაშინ ფული მართლა მოუპარავს. ასე რომ, ის ან ხელისუფლებას გაურიგდა, ანდა საზოგადოებრიობას ატყუებენ.

**ქეთევან კერვალიშვილი:** ირაკლი ოქრუაშვილის აღიარება ზემოქმედების შედეგია და მეტი არაფერი. მას გარეგნულად ეტყობოდა, რომ ძალზე შეშინებული იყო. ამ ხელისუფლებას მისი აღიარება მმართველობის გასახანგრძლივებლად დასჭირდა და ეს გააკეთა კიდეც. საინტერესოა, როგორ დააშინეს ირაკლი ოქრუაშვილი? ნუთუ, მასაც ლიკვიდაციით დაემუქრნენ? იმედია, რომ ამ საიდუმლოს ფარდა მალე აეხდება.

**ვაჟა თევდორაძე:** ამ ხელისუფლებამ ირაკლი ოქრუაშვილზე ძალადობით იმოქმედა, რადგან სხვანაირად მისგან ამ აღიარებას ვერ მიიღებდნენ. ამ ფაქტს სხვა შეფასებას ვერ მივცემ. ხელისუფლებას დაშინებისა და ზეწოლის უამრავი მეთოდი აქვს. ვფიქრობ, რომ იგი სერიოზულად შეაშინეს, რათა ეს ნაბიჯი გადაედგა. ეს მოვლენები ბურუსითაა მოცული და საზოგადოებრიობა გაურკვევლობაშია, ამიტომ ამ ხელისუფლების ნდობა შეუძლებელია.

**ოთარ იორდანიშვილი:** საზოგადოებრიობამ ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალური ბრალდებების უტყუარობა ირწმუნა. ეს იძულებითი აღიარება სიყალბეა, რომელიც ხელისუფლებამ მოაწყო, რათა ირაკლი ოქრუაშვილის ავტორიტეტი შეელახა. მალე გამოჩნდება, რომ ეს მოჩვენებითი აღიარება ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლია.

**ეკა მარხულია:** ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ დაპატიმრებას ელოდა, მაგრამ თავი არ დაიცვა. არადა, მას საზოგადოებრიობამ დაუჯერა, მაგრამ ამაოდ. ამ აღიარებით მან ყველა მოატყუა. გაუგებარია, თუ მას ბრალდებების დამამტკიცებელი მასალები არ ჰქონდა, რატომ გააკეთა ის განცხადებები? მისი გაუაზრებელი მოქმედებების გამო დაბნეული ვარ. ეს მოვლენები ერთი დიდი სპექტაკლია. თუ ირაკლი ოქრუაშვილს ის სკანდალური ბრალდებები პიარისა და ავტორიტეტის მოსახვეჭად დასჭირდა, ფაქტია, რომ ყველაფერი ვერ გათვალა.

**თამაზ ვანიშვილი:** ირაკლი ოქრუაშვილი ბადრი პატარკაციშვილის მილიონებით ამ ხელისუფლების დამხობას აპირებდა, მაგრამ ამ მზაკვრულ გეგმას ხორცი ვერ შეასხა.

ოპოზიციამ კი მისგან ლიდერის შექმნა განიზრახა, მაგრამ მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. დასაგმობია, როცა ყოფილი მინისტრი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ ილაშქრებს. ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური ფიგურა აღარ არსებობს.

**მაია ხორგუაშვილი**

◎ პრესკონფერენცია

# „ნუ შეადარებთ ირაკლი ოქრუაშვილს ზვიად გამსახურდიას"

## აკაკი ასათიანი გალიზიანებულია



**საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა აკაკი ასათიანმა პრესკონფერენცია გამართა, რომელიც, ძირითადად, ოქრუაშვილის განცხადებებს უკავშირდებოდა.**

მას ირაკლი ოქრუაშვილის აღიარებითი ჩვენების მეტი წილი სჯერა, რაც დღეისთვის ჯერ არ თქმულა, უახლეს მომავალში გამოიკვეთებაო.

ასათიანის თქმით, ხშირად ხდება, რომ ხელისუფლებიდან გამოსული ადამიანები რევოლუციის დროს ხელში იღებენ პრიორიტეტებს, საზოგადოება კი ნაფიცი მსაჯულივით იქცევა, აღიარებით ჩვენებაზე ფიქრობს, ბრალდების მოწმეაო.

აკაკი ასათიანი განსაკუთრებით იმ ფაქტმა გაალიზიანა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის აღიარებითი ჩვენება ზვიად გამსახურდიას აღიარებას შეადარეს.

„ჩემი მეგობრული თხოვნა იქნება ( თუ არ გაითვალისწინებენ, იძულებული ვიქნები, უფრო მეტი ვთქვა), რომ ზვიადთან პარალელებს თავი დაანებონ. ამ ხელისუფლებას ზვიად გამსახურდიასთან არანაირი საერთო მიზნები არ აკავშირებს, ერთის გარდა — ეს ყმაწვილი, (ოქრუაშვილი) სარკის წინ გამსახურდიას მანერებით ვარჯიშობდა და რამდენჯერმე მისი კარიკატურაც შექმნა, ეს არის და ეს", — განაცხადა მან.

თუმცა ხელისუფლების „გაგიჟების" შემთხვევაში „საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირი" არ გამორიცხავს ოპოზიციის გვერდით დგომას.

„მართალია, მე პოლიტიკაში გამსახურდია-შევარდნაძე-სააკაშვილის შემდეგ „მეოთხე ხელისუფლებისთვის" ბრძოლა გამომივა, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, ამ აქციებშიც მონაწილეობას მივიღებ", — დაასკვნა აკაკი ასათიანმა.

**სოფიო გოგლიძე**

◎ ვიდეოხიდი თბილისი-მოსკოვი-კიევი

# დსთ: რეფორმირების პრობლემები, მონაწილეთა პრიორიტეტები

**ამ თემას მიეძღვნა საუბარი, რომელიც გუშინ გაიმართა თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტში". ვიდეოხიდი თბილისი-მოსკოვი-კიევი მიეძღვნა დუშანბეში დსთ-ის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების საბჭოს სხდომის დასრულებას.**

დისკუსიის მსვლელობისას შედგა ვიდეოხიდების ჩართვა, რომელმაც თბილისის სტუდია დააკავშირა კიევის და მოსკოვის საერთაშორისო პრესცენტრებთან, სადაც დსთ-ის განვითარების პერსპექტივების განხილვაში მონაწილეობას ღებულობდნენ ამ სახელმწიფოების წარმომადგენლები.

მოსკოვიდან ითქვა, რომ დსთ-ის ეფექტურობა სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, თუმცა ამ ორგანიზაციამ თითოეული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბედის განსაზღვრაში უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ვიდრე ეს ცივილიზებული გაყრის პირველად სცენარში ივარაუდებოდა.

— რას შესთავაზებენ დსთ-ის წევრი-სახელმწიფოების ხელმძღვანელები საკუთარ ქვეყნებს და ხალხებს დუშანბეში გამართული სამიტის შემდეგ? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსკოვში მრგვალ მაგიდასთან მოწვეულნი იყვნენ დსთ-ის ქვეყნების ელჩები, ავტორიტეტული რუსი ექსპერტები.

იხ. 7 გვ.



მურად ალაშვილის ფოტო.

● შემზარავი რეალობა კი ის არის, რომ ხალხს რწმენა დაეკარგა და რწმენადაკარგულ ცხოვრებაზე უარესი რაღა უნდა იყოს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ რთველი – 2007

# ეგზეკუცია ტიბაანში

## შემზარავი რეალობა: სპეცნაზი რთველში!

ქიზიყში მიმავალს, გზად, რადიო „პერეთის" საინფორმაციო გამოშვება „დამემგზავრა" – სპეცნაზის თანხლებით ჩატარებულ რთველსა და ველისციხეში დარბეულ გლეხთა თავყრილობაზე იტყობინებოდა. არც ხელისუფლების თავმოსაწონებელი სიღნაღი დარჩენია უყურადღებოდ – ათამდე მესაკუთრეს ქონება წაართვესო, ხოლო ხმამაღლა პროტესტის გამომხატველი ე. წ. სამართალდამცველნი მუქარას მუქარაზე უთვლიანო...

ერთი სიტყვით, ღვინით განთქმულ ტიბაანში ჩასვლამდე თავად წარმოიდგინეთ, როგორი განწყობა დამეუფლებოდა... დღეს აქ რთველი აღარავის უხარია. ტიბაანიც სხვა გაუბედურებული ქართული სოფლების ხვედრს იზიარებს. შემოსავლის ერთადერთი წყარო – ვენახი ზედმეტ ტვირთად ქცეულა აქაური გლეხკაცისთვის. გამწარებული მთელი წლის ნალოლიავებ, „შვილივით ნაზარდ" ვაზს ამოძირკვას უპირებს. ტიბაანელ გლეხებს ხელისუფლების მიმართ ერთადერთი შეკითხვა აქვთ – რატომ გაწირეს ისინი?

სოფლის ცენტრში შეკრებილი დაღვრემილი ქიზიყელები გულდაწყვეტით ლაპარაკობენ, ხელისუფლებამ რთვლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ტელევიზიით გამოხატა პოზიციაო. თურმე ღვინის ქარხნის დირექტორები ამტკიცებდნენ, ევროპაში კილოგრამი ყურძენი 11 ცენტი ღირს ხოლმე (შესაბამისად, 18-19 თეთრამდე) და საქართველოში ეს ფასი უნდა იყოსო!

„ამან მაშინვე გამოიწვია ჩვენი დიდი პროტესტი, მაგრამ არ გვჯეროდა, რომ ხელისუფლება საბოლოოდ გაგვწირავდა", – ამბობენ ისინი.

– ყველა სოფელში პოლიცია მორიგეობდა. რა უნდოდათ, გეკითხებით? შარშან რაიმე მოხდა? არანაირი ჩხუბი არ ყოფილა. რა უნდოდათ და მყიდველებს ჩვენამდე არ უშვებდნენ. უბრძანეს, მათი მანქანების ნომრები ჩაეწერათ და მერე აღარ გამოეშვათ. ფასის დასაგდებად აკეთებდნენ ამას...

– თბილისის ბაზარშიც დააგდეს ფასი. მუქთად ვინლა ჩამოიტანდა? სამაგიეროდ, გურჯაანის შტაბში 30 თეთრს გვთავაზობდნენ. ისინი სოფელ-სოფელ დადიოდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ. ჩვენ პროტესტი გამოვხატეთ: როგორ, შარშან 45 თეთრი იყო, წლეულს კი ჩალის ფასად ვინ გადაჰყრიდა ყურძენს?



– ძალიან აქტიურობდა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბერიძე. შელაპარაკებაც მოგვიხდა. აგდებდა და აგდებდა ფასს. იცით, რა გვითხრა? „ფეხებზეც არა მკიდია თქვენი ყურძენიო"... მერე პოლიცია ჩაერია, ხმას ნუ იღებთო!.. თავს არ გვანებებდა ეს კაცი, წადი, შეგვეშვი, ჩვენ თავს თვითონ მივხედავთ-თქო... რაც გინდა, ილაპარაკე რა... ეგზეკუცია ჩაგვიყენეს.

– ღვინის ქარხანა არ გახსნეს. ზოგიერთი 30 თეთრად იბარებდა, თუ უფრო მაღალ ფასს მოთხოვდი, გვეუბნებოდა, ადგილი აღარ მაქვსო. შარშან ქარხანამ 45 თეთრი დაადო. მაშინ კურატორი ირაკლი ოქრუაშვილი იყო, უბრძანა და აბა არ შეესრულებინათ ქარხნებს ეს ბრძანება! ასე თუ ისე, შარშანდელზე სასაყვედურო არ გვაქვს.

– ეტყობა, მაშინ ყურძნის მაფიას გზა გადაეკეტა და გლეხმა ერთი-ორი ლარი იშოვა. ახლა კი... პატრონი ვინ არის? ხორბლის მოსავალი უკვე მაფიის ხელშია. ყურძენზეც ის უნდათ, რომ თვითონ აკონტროლონ, მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარში კაპიკები მოგვიგდონ.

– ღმერთი აღარ არის? ძალიან მინდა, სადმე პრეზიდენტი ვნახო, სიმართლეს ვეტყოდი რთველზე, ყველაფერს, რაც ხდება... მაგრამ სადა ვნახო, კაცო? სიღნაღის იქით არ იხედება... სიღნაღამდე კარგი გზაა, იქ ჩამოჰყავს, იმ გზით ხან ვინა და ხან ვინ, სოფლებშიც გამოვიდეს, ნახოს ერთი, რა უბედურ დღეში ვართ, გზები გაუბედურებულია, სოფლის გზებს ასფალტი არ უნდა? თუ ჩვენ – ხალხი, მართლა გაგვწირეს და ჩამოგვწერეს? ჩვენ არ მივეცით ხმა? იმედი ნულარ ექნება, ტიბაანიდან სააკაშვილი მარტო ერთ ხმას მიიღებს – საკრებულოს თავმჯდომარისას...

– რა დღეში ჩაგვყარეს, კაცო! ხო არ გადავყრიდით ამ ყურძენსა და დედოფლისწყაროში წავილეთ, ცოტაოდენი ხორბალზე გადავცვალეთ. იქაც ისე დამცინავად გვიყურებდნენ, ეგეთი შეურაცხყოფილები არასოდეს ვყოფილვართ – წინ და უკან დაგვქონდა ყურძენი, ღამეს მანქანებში ვათენებდით...

რომ მოგესმინათ, აგეტირებოდათ. რა წარმატებული რთველი, რის წარმატებული რთველი! რთველი სპეცნაზით სად გაგონილა? ამის შემდეგ რა გასაკვირილაა, რომ ვენახებს წალდი მოუღერონ და ქართული სულიერებისა და ეროვნულობის სიმბოლო – ვაზი ამოძირკვონ.

**შემზარავი რეალობა კი ის არის, რომ ხალხს რწმენა დაეკარგა და რწმენადაკარგულ ცხოვრებაზე უარესი რაღა უნდა იყოს?**

**თამარ შაიშმელაშვილი,**
ტიბაანი-თბილისი

◎ განსჯა

# 2003 წლის 2 ნოემბერი – შევარდნაძის დასასრულის დასაწყისი, 2007 წლის 2 ნოემბერი?...

### „ირმების გადმოსახედო, კახეთო, ჩემო კახეთო"

*პოსტრევოლუციური საქართველო სიმბოლოებით არის მდიდარი. ჯერ იყო და ჩვენი „გამაბედნიერებელი" ვარდების რევოლუცია, ნებსით თუ უნებლიედ დაემთხვა 23 ნოემბერს – საქრისტიანოს და განსაკუთრებით საქართველოში გამორჩეულად საყვარელ, გიორგობის დღესასწაულს, იგივე განმეორდა 6 მაისს აჭარაში. ვითომ ესეც შემთხვევით მოხდა? არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ამ შემთხვევითმა (თუ სპეციალურმა დამთხვევებმა, ქართველ ხალხში, პირადად ჩემშიც, გააჩინა რწმენა, რომ საქართველოს ყველაზე საყვარელი წმინდანის დღესასწაულებზე მომხდარი რევოლუციური ძვრები, კეთილის მომასწავებელი იქნებოდა. იმავე დროს, უკვე პრეზიდენტად არჩეულმა მიხეილ სააკაშვილმა ინაუგურაციამდე, სადაც ბიბლიაზე უნდა დაედო ფიცი, დავით აღმაშენებლის საფლავთან მოიყარა მუხლი.*

ამაზე მაშინ სააკაშვილის მტრები, რომლებიც მარგინალებად აღიქმებოდნენ საზოგადოების უმრავლესობაში, ქირქილებდნენ, რადგან ეს ჟესტი აშკარად პიარის ელემენტებს შეიცავდა, მაშინ დავწერე კიდეც, რას ერჩით მიშას, თუ ვერ იდავითებს, დავითობა რომ უნდოდა, რა საძრახისი ეგ არისმეთქი. მაშინ, რა ვიცოდით, რომ პიარი, ქვეყნის მართვის წესი გახდებოდა ნაციონალებისთვის.



2003 წლის რევოლუციის დამდეგიდან ყველაზე გრანდიოზული 2007 წლის 28 სექტემბრის საპროტესტო გამოსვლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს ხალხის ნებით გაერთიანებული ოპოზიცია 2 ნოემბერს გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადება.

2 ნოემბერიც გარკვეულწილად სიმბოლურია, რის შესახებ მიტინგებსა თუ ტელევიზიებში, არავის დასცდენია სიტყვა. დავიჯერო ეს დამთხვევაც შემთხვევითია? 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების გაყალბება აღმოჩნდა ის ბოლო წვეთი, რამაც ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და მისი მასობრივად ქუჩაში გამოყვანა, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო (როგორც შემდეგ გაირკვა, სოროსის მილიონებისაც). ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადი და უეჭველია – 2003 წლის 2 ნოემბერს დაიწყო შევარდნაძის რეჟიმის დასასრული. იგივეა მოსალოდნელი ა. წ. 2 ნოემბერს. თუ გაერთიანებულმა ოპოზიციამ შეძლო და 2 ნოემბერს რუსთაველის პროსპექტზე ხალხის კრიტიკული მასა გამოვიდა, აქედან დაიწყება ათვლის წერტილი. სააკაშვილის რეჟიმის დასასრულის დასაწყისისა. ასეთია ოპოზიციის ჩანაფიქრი და იმედი.

გაერთიანებული ოპოზიციის რეგიონებში გასვლის პირველი პატივი გურჯაანს ხვდა წილად. ამ მსვლელობის მონაწილე მეც გახლდით. მთელი გზა, სართიჭალიდან გურჯაანამდე, მყვირალა კლაკსონებითა და დროშებით მორთულ ავტომობილთა უგრძეს კოლონას გზის პირას გამოსული მოსახლეობა ხელის ქნევითა და შეძახილებით მიაცილებდა. და ეს ხდებოდა კახეთში, გაგანია რთვლის დროს. წესით ამ დროს კახელ კაცს არ უნდა ეცალოს ტრასაზე გამოსასვლელად.

რა კარგია კახეთი შემოდგომისას, ლხინი კახელებთან! რამდენჯერ ვყოფილვართ თითოეული ჩვენგანი კახეთში რთველზე. ქალაქელები ცოტას წავიმუშავებდით, ერთ-ორ „პლანს" დავკრეფდით და მერე მიდი! დაიწყებოდა მამაპაპური, მადლიანი, ბარაქიანი კახური სუფრა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ინფორმაცია, სადღაც გურჯაანის მიდამოებში სპეცნაზი გადაგვიღობავს გზასო, „ჯარისკაცის მამის" სამშობლოში ექსცესების გარეშე ჩავედით, სადაც გურჯაანის მასშტაბებისთვის გრანდიოზული მიტინგი ჩატარდა. თუმცა როგორც მერე გავიგეთ, „ხალხზე გამარჯვებულ ტელევიზიას" რუსთავი-2"-ს გადმოუცია – ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის არ მივიდაო. როცა ეს ინფორმაცია მიტინგზე გახმიანდა, გურჯაანელები აღშფოთდნენ. მიტინგის წამყვანის მოწოდებაზე, ვინც გურჯაანელები ხართ, ხელები ასწიეთო, მთელმა მოედანმა ორ-ორი ხელი ასწია, და პირობა მისცა გაერთიანებულ ოპოზიციას, 2 ნოემბერს ქუდზე კაცი მოვალთ რუსთაველზეო.

ხალხში მყოფმა ბევრი წყევლა-კრულვა მოვისმინე, განსაკუთრებით გიგა ბოკერიას მიმართ გამოხატავდნენ კახელები გაღიზიანებას.

მიტინგი, რომელმაც ლამის 3 საათი გასტანა, მშვიდობიანად დაიშალა და ჩვენმა კოლონამ თელავისკენ აიღო გეზი. გოგა ხაინდრავამ განაცხადა, იქაც გაიგეს ჩვენი ჩამოსვლის ამბავი და ეწყინებათ რომ არ ჩავიდეთო. თელავში არ გავჩერებულვართ, საპატიო წრე დავარტყით ქალაქში აღტაცებული თელაველების ყიჟინის ფონზე და...

იხ. 4 გვ.

№ 195. ოთხშაბათი. 10 ოქტომბერი. 2007 წელი.

● მე, მოქალაქეს, რომელიც დღეს ვინმე წუწკი მევახშისგან კი არა, სახელმწიფოსგან ვყიდულობ ქონებას, იმისი არ უნდა მეშინოდეს, რომ იგივე სახელმწიფო ხუთი-ათი წლის შემდეგ პირს გამიტეხს და დამატებით მომთხოვს თანხას




◎ ეგრე არ არის, თაყაო...

# სახელმწიფო თუ წუწკი მევახშე?

## იქნებ „გაყინული“ ხელფასებიც ათმაგი ოდენობით „გაგვილღოთ“, უფალო „ელინისტო“ და თქვენნაირებო?

*ყველამ თუ არა, ალბათ, ჩვენი გაზეთის მკითხველთა დიდმა ნაწილმა მაინც ნახა ტელევიზიით, ახლახან საბერძნეთში ვიზიტად მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა როგორ აღნიშნა, რომ ქართული დელეგაციის ერთი წევრი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ეთნიკურად ნახევრად ბერძენია, მეორე წევრი, თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი კი შესანიშნავად ფლობს ბერძნულ ენას. – ყოველ შემთხვევაში, ბერძნული ქართულზე უკეთ იცისო, – ღიმილით დაასკვნა პრეზიდენტმა.*

*სწორედ ამ სიუჟეტმა განმაწყო დღევანდელი ნაგვიანევი ვრცელი რეპლიკის დასაწერად, რომლითაც, ცხადია, სულაც არ ვაპირებ ნათქვამის ეჭვქვეშ დაყენებას: რაკი ითქვა, ესე იგი, იცის!*

უბრალოდ, აღნიშნულმა სიუჟეტმა ის განცხადება გამახსენა, რომელიც საბერძნეთში გამგზავრებამდე პრეზიდენტის მიერ ნაქებმა ამ „ელინისტმა“ ტელევიზიით გააკეთა.

– ყოველმა მოქალაქემო, – თქვა მაშინ თბილისის მერიის ამ „სახემ“, – ვინც დედაქალაქის ტერიტორიაზე 2003 წლამდე პერიოდში სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთები შეიძინა, მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე ადრე გადახდილ თანხას ყოველი კვადრატული მეტრისთვის ორმოცი ლარი უნდა დაუმატოს, თორემ შეძენილი ნაკვეთები ჩამოერთმევათ და გადახდილი ფული დაუბრუნდებათო.

აი, ასე! მოკლედ და კონკრეტულად!

– ბერძნულის ცოდნა კარგია, მაგრამ როდესაც ქალაქის ერთ-ერთი თავკაცი ხარ, არც იურისპრუდენციის და, მით უფრო, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ცოდნა გაწყენდათ თქვენც და თქვენნაირებსაც-მეთქი, – ჩავილაპარაკე.

– ვიცით და, თანაც როგორო, – აღშფოთდებით, ალბათ.

თუ იცით, მაშინ იქნებ რამდენიმე კითხვას უპასუხოთ?

1. თუ გსმენიათ რამე ინფლაციის არსებობაზე?

2. თუ იცით, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის მიხედვით ყალიბდება?

3. და რაც მთავარია, თუ გსმენიათ, რომ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია?

თქვენი განცხადების მოსმენისას სხვა კითხვებიც გამიჩნდა, ბატონო მამუკა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ სამით დავკმაყოფილდეთ.

თუ მათზე პასუხი მართლაც გაქვთ, მაშინ იქნებ ისიც გვითხრათ, **რამდენად თავსდება თქვენს მიერ „გაჟღერებული“ განცხადება კანონიერების ჩარჩოში, ადამიანურობასა და მორალურ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ?**

და კიდევ ერთი: ვთქვათ, ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ, ან უფრო ადრე თუ გვიან, როდესაც ქალაქის ამჟამინდელ ხელისუფლებას მისი მუშაობით უზომოდ კმაყოფილი თბილისელები „პენსიაზე“ გაისტუმრებენ, **ახალი მთავრობა თქვენს მიერ ამჟამად „დაჯარიმებულებს“ იმდროინდელი, ანუ ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგდროინდელი, ფასების გადახდას ხომ არ მოთხოვს ხელმეორედ შეძენილი უძრავი ქონების ელემენტებში?**

იქნებ მათ ფული თქვენ რომ გჭირდებათ, იმაზე მეტად დასჭირდეთ?

**არ ვიცი, ჩემი ერთობ მწირი იურიდიული ცოდნა-განათლებით** (თქვენთან შედარებით, რა თქმა უნდა, უფალო „ელინისტო“) **აქამდე მეგონა, რომ კანონს უკუქცევის ძალა არ ჰქონდა.**

**ზღვის ტალღების მიქცევ-მოქცევა გამიგია, მაგრამ თუ 2007 წელს მიღებული კანონის ან სხვა რამ ნორმატიული აქტის მოთხოვნათა შესაბამისად შეიძლებოდა, ვთქვათ, ათი წლის წინანდელი ფაქტების განსჯა-შეფასება, არ ვიცოდი.**

მაგრამ ახლა კანონებს თავი დავანებოთ, საკითხი სხვა, ზნეობრიობის კუთხიდან შევაფასოთ და რამდენიმე კონტრწინადადებაც განვიხილოთ.

ძალიან მაინტერესებს მათზე თქვენი პასუხი, ბერძნულის ქართულზე უკეთ მცოდნე უფალო ვიცე-მერო!

აი, თუნდაც ასეთზე: **თავად სახელმწიფო რომ მოქალაქეებს არაფერს პატიობს?**

**მაგალითად, მძღოლმა 150-ლარიანი ჯარიმის გადახდის 30-დღიან ვადას ერთი დღეც რომ გადააცილოს, იმ 150 ლარს კიდევ 500-ლარიანი ჯარიმა რად ემატება?**

კი, ბატონო, კანონი უნდა კანონობდეს, **მაგრამ მისი დაცვა ყველას ერთნაირად უნდა მოეთხოვებოდეს – მოქალაქესაც და ამ კანონის დამწესებელ სახელმწიფოსაც.**

**შესაბამისად მე, მოქალაქეს, რომელიც დღეს ვინმე წუწკი მევახშისგან კი არა, სახელმწიფოსგან ვყიდულობ ქონებას, იმისი არ უნდა მეშინოდეს, რომ იგივე სახელმწიფო ხუთი-ათი წლის შემდეგ პირს გამიტეხს და დამატებით მომთხოვს თანხას.**

და უკვე თქმულის განსავრცობად ერთი ასეთი კითხვაც:

**თქვენი აზრით, როგორ სანქციას იმსახურებს სახელმწიფო, რომელიც წლების მანძილზე არ აძლევს თავის მოქალაქეებს კუთვნილ, მაგრამ „გაყინულ“ ხელფასს?**

ამ კითხვას იმის გათვალისწინებითაც გისვამთ, რომ 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანება ინფლაციის წყალობით მნიშვნელოვნად არის გაუფასურებული (მაგალითად, მაშინდელი 41-ლარიანი „გაყინული“ ხელფასის რეალური მსყიდველობითი უნარიანობა ამჟამად 25 ლარზე ნაკლებია).

**ჰოდა, უფალო „ელინისტო“, თუ სწორედ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოსგან შესყიდული მიწის ნაკვეთების ყოველი კვადრატული მეტრისთვის მოქალაქეებს ახლა დამატებითი ორმოცი ლარის გადახდას ავალებთ, იქნებ შესაბამისი თანამდებობების მუშაკებისთვის მაშინდელი „გაყინული“ ხელფასებიც ამჟამად მოქმედი ტარიფებით მიგვეცა?**

(საქმის გაიოლებისთვის შემოგთავაზებთ საქართველოში ცალკეულ სახელმწიფო მოხელეთა იმდროინდელ და ახლანდელ ხელფასებს ლარებში):

| თანამდებობა | 2003 წლამდე | ამჟამად | ზრდა პროც-ში |
|---|---|---|---|
| მინისტრი | 160 | 2980 | 1862,5 |
| სამინისტროს სამმართველოს უფროსი | 91 | 1100 | 1208,8 |
| მთავარი სპეციალისტი | 41 | 400 | 975,6 |

ეს უფრო სამართლიანი ხომ არ იქნებოდა, ბატონებო?

**რუსლან რუსია**

◎ განსჯა

# 2003 წლის 2 ნოემბერი – შევარდნაძის დასასრულის დასაწყისი, 2007 წლის 2 ნოემბერი?...

(მესამე გვერდიდან)

## ლხინი კახელებთან

თელავის მერე, გამოგიტყდებით და, დილიდან უჭმელს ნამეტანი შემიტია სტომაქმა. როგორც ჩანს, სხვასაც ასევე შიოდა და ყველამ თავისი გზა იპოვა. „შეძლებულმა“ პარტიებმა ალბათ რესტორნებს მიაშურეს, არც დანარჩენებს გაუშვებდნენ „უსისხლოდ“ სტუმართმოყვარე კახელები. მე, ნომინალურად კობა დავითაშვილის „შემადგენლობაში“ ვიყავი, მის მანქანას, რომ იტყვიან, „კუდზე ვეჯექი“. ის იყო ვიფიქრე, ეს პირველი შემთხვევა იქნება ჩემს ცხოვრებაში, როცა კახეთიდან მშიერი მივდივარ-მეთქი, რომ ჩვენმა მინიკორტეჟმა ტრასიდან რომელიღაც სოფელში გადაუხვია.



სოფელ ჩუმლაყში გივი ოსიაშვილის ოჯახს მივადექით ის 4-5 მანქანა ხალხი. ლაზათიან-ბარაქიანი სუფრა უკვე გაეწყოთ და ვახშამიც დაიწყო. უფრო სწორედ, გურჯაანის მიტინგი გაგრძელდა სუფრის ფორმატში.

მასპინძლის ოჯახის უფროსის გივის დაშაშრულ-დაკოჟრილ ხელებს თუ დახედავს ჩვენი მთავრობა, მაშინ მიხვდება გლეხი კაცის, ამ შემთხვევაში გურჯაანელის გაჭირვებას, იმასაც „თხას კუდი სად აბია“, ანუ კახელი გლეხი სერიოზულად რომ ფიქრობს ვენახის აჩეხვას და ისე არ არის საქმე, თითქოს ტელეკომპანია „იმედმა“ ხელოვნურად დადგა ცნობილი შემზარავი კადრები ვენახის აჩეხვისა, როგორც ეს მას „რუსთავი-2“-მა დააბრალა.

გუშინ შვიდი „პლანი“ ავკაჭეო, თვალცრემლიანი ამბობდა ჩვენი მასპინძელი, **„მემრე იმ ღამეს ვილაც წვერიანი დამესიზმრა და ნუ იზამ ამასო“.**

სუფრაზე მსხდომმა დათო ზურაბიშვილმა და კობა დავითაშვილმაც ეს სთხოვეს ბატონ გივის.

**„მა რა ვქნა, კაცოო! ტყემალი რო ორი მანეთი ღირება და საფერავზე 45 კაპიკს გახვეწნინებენ, ეს ქვეყანაა?“** – გულზე მჯიღი დაირტყა ჩვენმა მასპინძელმა.

მართალი ხარ, ძია კაცო, მართალი, მაგრამ მაინც – ბოლომდე არა. ვაზი ქართველი კაცისთვის ხომ მარტო ღვინო და ხილი არ არის. ვაზი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი კი არა, თავი და თავია. საქართველო ხომ ღვინის სამშობლოდ არის აღიარებული.

**დავით მხეიძე**

*P. S. „საქართველო პრეზიდენტის გარეშე“ – ეს ლოზუნგი, რომელსაც გაერთიანებული ოპოზიცია აფრიალებს, ორაზროვანია. პრეზიდენტ სააკაშვილის გარეშე? გაერთიანებული ოპოზიციიდან ვინმე ხომ არ „ეზომება“ პრეზიდენტის სავარძელს? საქართველო „პრეზიდენტის ტახტის გარეშეო“, აი, ეს უნდა იყოს მთავარი ლოზუნგი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაჰყვება.*

*წინა წერილში გაკვრით ვწერდი, საქართველოსთვის იდეალურად კონსტიტუციური მონარქია მიმაჩნია-მეთქი. და აგერ თვით უწმინდესმა და უნეტარესმა დამიდასტურა ეს თავის ბოლო ქადაგებაში.*

*ეკლესიის პასიურობას აღნიშნავდა ჩვენში ბევრი და აჰა! ამაზე მეტი რა თქვას ქართველების სულიერმა მწყემსმა?!*

*დ. მ.*

№ 195. ოთხშაბათი. 10 ოქტომბერი. 2007 წელი.

**1992 წელს მოსკოვიდან, ხელისუფლებადამხობილ საქართველოში, „დემოკრატიის ალსალორძინებლად“ ე. შევარდნაძე ჩამოვიდა, რომელმაც თავის მმართველობის პერიოდში ისეთი ცხოვრება შექმნა, რომ შიმშილითა და სიცივით მილასლასებულ ქართველობას, მეფე და მისი ნაზირ-ვეზირები კარგა ხნით დაავიწყა**



◎ იდეა

# თქვენო უდიდებულესობავ, საქართველო გიცდით...

***1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. მისმა უფროსმა შვილმა, საქართველოს მმართველმა დავითმა, 1801 წლის 8 იანვარს, რუსეთთან შეერთების აქტს მეფის ტიტულის გარეშე მოაწერა ხელი. 1801 წლის 18 იანვარს კი პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა. იმავე პერიოდში დაიწყო რუსთა მიერ რუსეთში ბაგრატიონთა გადასახლება. საქართველოს სამეფო საგვარეულოს ჩამომავალთა რუსეთში გადაყვანა 1842 წლამდე მიმდინარეობდა. პირველი თაობის წარმომადგენლები ოფიციალურად „ქართველ ბატონიშვილებად“ ინოდებოდნენ, ამ თაობამ 1861 წლამდე იარსება, სანამ უკანასკნელი ბატონიშვილი მიხეილ გიორგის ძე არ გარდაიცვალა.***

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, რუსებმა 1810 წელს მოტყუებით შეძლეს იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის დატყვევება და თბილისში ჩამოყვანა, მაგრამ იმავე წლის 11 მაისს სოლომონი გაიქცა და სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. რუსეთის მთავრობამ სამეგრელოსა და გურიის მთავრების მიერ გამოყვანილი რაზმებით მალევე შეძლო აჯანყების სისხლში ჩახშობა და იმერეთის სამეფო საბოლოოდ გააუქმა. დევნილი სოლომონ II ოსმალეთს შეეხიზნა, სადაც უშვილძიროდ დაილუპა კიდეც 1815 წელს.

ამას შემდეგ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში სრული სერიოზულობით არ დასმულა სამეფო ხელისუფლების აღდგენის საკითხი. 1832 წლის შეთქმულება ისე დამარცხდა, რომ შეთქმულებს კარგად არც ჰქონდათ გააზრებული, რა პოლიტიკური მოდელის შემოღებას აპირებდნენ „გამარჯვების“ შემთხვევაში. ქართული ისტორიოგრაფია მხოლოდ ვარაუდის დონეზე თუ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შეთქმულთა შორის იყვნენ მოღვაწენი, რომელთაც მონარქისტული იდეები „აწუხებდათ“.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თვით დიდ ილია ჭავჭავაძესაც არ დაუყენებია რეალურად საქართველოს სამეფოს აღდგენის პერსპექტივა, თუმცა კი თავის უკვდავ მხატვრულ ნაწარმოებებში, რომანტიკულად და ჰეროიკულად აღწერდა მას.

XX საუკუნეში განვითარებულმა მსოფლიო პოლიტიკურმა მოვლენებმა საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციაზეც მკვეთრად იმოქმედა და საუკუნის დასაწყისში წარმოშობილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, ქართველი მონარქისტებიც გაჩნდნენ. კერძოდ: 1914 წელს ჟენევაში დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის შექმნის ინიციატორები იყვნენ პეტრე სურგულაძე, მიხაკო წერეთელი, შალვა ვარდიძე, გიორგი მაჩაბელი და ზიაბეგ აბაშიძე. მათ გერმანიასთან დაამყარეს კავშირი და იმპერატორ ვილჰელმ II-საც შეხვდნენ, რომელსაც სურდა პირველ მსოფლიო ომში ამიერკავკასია რუსეთის საწინააღმდეგო პლაცდარმად გამოეყენებინა. ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომელთა რიგებში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებიც იყვნენ, საქართველოს ტახტზე ვილჰელმ II-ის შვილის იოახიმ ჰოჰენცოლერის დასმაც კი მოისურვეს და მის საცოლედ თავად მიხეილ მაჩაბლის მშვენიერი ასული მარიამიც კი შეარჩიეს. ასე რომ, მეფე — გერმანელი, დედოფალი კი — ქართველი.

ქართველთა ამ უტოპიურლაჟვარდოვან ოცნებებს ხელი შეუშალა თურქეთმა, რომელიც გერმანიის მოკავშირე იყო ამ ომში და თვით ჰქონდა ინტერესები და ამბიციები მთელს კავკასიაში. მან ჩაშალა ქართულ-გერმანული მოლაპარაკებები იმ პერიოდში. გიორგი მაჩაბელმა სცადა შეექმნა მონარქისტული მიმართულების „ეროვნული კომიტეტი“, მაგრამ წამოწყება ვერ განხორციელდა, რადგან პირველი მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში საქართველოს საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატიული გავლენა სჭარბობდა.

1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, მენშევიკებს კრინტიც კი არ დაუძრავთ მონარქისტულ წყობაზე. პირიქით, მათ კონსტიტუციითაც კი აკრძალეს ეს საკითხი. რაც შეეხება 1921 წელს შემოსულ ბოლშევიკებს, — ისინი უბრალოდ ფიზიკურად ანადგურებდნენ მათ, ვისაც ამგვარი პრობლემები აწუხებდა.

ამ საკითხზე გარკვეული შეხედულებები არ ჰქონიათ, არც 1924 წელს დამარცხებული აჯანყების ქართველ მოღვაწეებსაც.

რაც შეეხება ამ პრობლემას II მსოფლიო ომის პერიოდში, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ჰიტლერს, განსხვავებით ვილჰელმ II-ისგან, რუსეთის იმპერიის სივრცეზე, ანუ საბჭოთა კავშირში, არანაირი ალტერნატიული ხელისუფლებების შექმნა არ უვარაუდია. მან პირდაპირ დანიშნა თავისი წარმომადგენელი რუდოლფ შიკედანსი ჯერ კიდევ დაუპყრობელი საქართველოს მმართველად, ხოლო საქართველოს მოსახლეობას ურალს იქით გადასახლებას უპირებდა. ჰიტლერის ეს მისწრაფებანი სტალინმა დაასამარა ყველანაირ არაკომუნისტურ პოლიტიკურ მიმართულებასთან ერთად. ასე რომ, მონარქიაზე ლაპარაკს ვიწრო წრეებშიც კი ერიდებოდნენ და ეს პრობლემა ისე მიჩუმათდა, რომ 70-იანი წლების თბილისში ბევრმა არც იცოდა, პოპულარული პოეტი პეტრე გრუზინსკი ქართული სამეფოს შტოს ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი რომ იყო.

XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში „პერესტროიკა“ და „დემოკრატიზაცია“ დაიწყო. ეს პროცესი მთლიანად შეეხო საქართველოსაც და 1980-1992 წლებში წარმოშობილ პოლიტიკურ პარტიებს შორის მრავლად იყვნენ სამეფო ხელისუფლების აღდგენის მომხრენიც. იმ პერიოდში მონარქისტულ საკითხზე „ილვწოდნენ“ პოლიტიკური გაერთიანებები და პარტიები: „მონარქისტული“; „ტრადიციონალისტური“; „მონარქისტულ-კონსერვატორული“; „მონარქისტულ-რადიკალური“; „როიალისტური“; „კონსერვატორული“; „სამეფო დარბაზი“; „თავადაზნაურთა ლიგა“ და სხვა. ქართველმა მონარქისტებმა, ტახტის მემკვიდრეებიც კი „აღმოაჩინეს“ იტალიასა და ესპანეთში, რომლებთან კონტაქტებიც საქართველოს იმდროინდელ მთავრობათა წარმომადგენლებმაც კი დაამყარეს.

მოკლედ, ეს თემა მეტად აქტუალური და პოპულარული გახდა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, ანალოგიური მოვლენები ხდებოდა თვით რუსეთსა და მოლდავეთში. ხშირად ეს თემა პოლიტიკური შარლატანების ხელის მოსათბობ საშუალებასაც წარმოადგენდა.

1992 წელს მოსკოვიდან, ხელისუფლებადამხობილ საქართველოში, „დემოკრატიის აღსაღორძინებლად“ ე. შევარდნაძე ჩამოვიდა, რომელმაც თავის მმართველობის პერიოდში ისეთი ცხოვრება შექმნა, რომ შიმშილითა და სიცივით მილასლასებულ ქართველობას, მეფე და მისი ნაზირ-ვეზირები კარგა ხნით დაავიწყა.

ამრიგად, როგორც XIX საუკუნეში, XX საუკუნეშიც მონარქიზმის აღდგენის პერსპექტივებმა სრული ფიასკო განიცადა. მით უმეტეს, როდესაც მონარქიზმის საკითხი არ განიხილება არც 1995 წლის კონსტიტუციაში.

**დღეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის მიერ ბაგრატოვანთა დინასტიის აღდგენა და კონსტიტუციური მონარქიის დამყარების იდეის მოწოდებამ ახალი იმპულსი შეიძინა, მით უმეტეს, როდესაც ეს საკითხი პერმანენტულად ყოველთვის იჩენდა ხოლმე თავს. როგორი იქნება პერსპექტივა, ამაზე პასუხს უკვე XXI-ე საუკუნე გასცემს, რომელშიც საქართველოს სხვა მრავალი პრობლემის გადაჭრაც მოუწევს.**

**დავით სანდოძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**



◎ ინფორმაცია

## შეამოწმეს, რათა ეჭვები გაექარწყლებინათ

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ არ აღმოჩნდა.

ამის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისა და გამოძიების დეპარტამენტის უფროსმა გიგა გიორგაძემ განაცხადა.

გიორგაძის ინფორმაციით, №7 საპყრობილის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ოქრუაშვილს ნარკოლოგიური შემოწმება და სამედიცინო გამოკვლევა თავად ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა.

— გუშინწინ საღამოს დაგვირეკეს №7 საპყრობილის ადმინისტრაციიდან და გვთხოვეს, ოქრუაშვილის სამედიცინო გამოკვლევას დავსწრებოდით. ოქრუაშვილი უნდა გაეთავისუფლებინათ და ამ პროცესამდე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ყველა ეჭვი უნდა მოხსნილიყო. გარდა ამისა, როდესაც პირი პატიმრობიდან თავისუფლდება, შესაბამისი პროცედურები უნდა გაიაროს, საიდანაც ერთ-ერთი სამედიცინო გამოკვლევაა. გამოკვლევა 21.00-დან 22.00 საათის შუალედში ჩატარდა. დასკვნის მიხედვით, ოქრუაშვილს, სურდოს გარდა, გულის აჩქარების სინდრომიც აღენიშნებოდა, — განაცხადა გიორგაძემ.

მისივე თქმით, ოქრუაშვილს თავადაც გაესაუბრნენ და თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, რომ მასზე არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი გუშინ, დილის 04:00 საათზე გაათავისუფლეს. ოქრუაშვილმა გირაოს — 10 მილიონი ლარის ნაწილი ფულადი თანხით, ნაწილი კი უძრავი ქონების გირაოში ჩადების გზით დაფარა. ოქრუაშვილს აღმკვეთი ღონისძიება — პატიმრობა გირაოთი გუშინწინ შეეცვალა.

მან დანაშაული ნაწილობრივ აღიარა და საჯაროდ გაკეთებული ბრალდებები, სადაც ხელისუფლების მაღალჩინოსნებს უკანონო ქმედებებში ადანაშაულებდა, უარყო.

## გაეროს პასუხისმგებლობის ზონა გაფართოვდა

პან გი მუნი გაეროს დამკვირვებელთა პასუხისმგებლობის ზონის გაფართოების ინიციატივით გამოდის.

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გაეროს გენერალურმა მდივანმა ეს რეკომენდაცია 20 სექტემბრის ინციდენტს დაუკავშირა, როდესაც ქართულმა მხარემ აფხაზი დივერსანტები დააკავა.

— ინციდენტი იმ რაიონში მოხდა, რომელიც გაეროსა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში არ შედის. ამასთან, შეგახსენებთ, რომ კოდორის ხეობის ზემო



ნაწილში 11 მარტს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, მისიამ მოამზადა რეკომენდაციები, რომლებიც კოდორის ხეობასა და კონფლიქტის ზონას შორის მდებარე რაიონებში საერთაშორისო დამკვირვებლების ჩაყენებას ითვალისწინებს, — აღნიშნავს პან გი მუნი ანგარიშში, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს წარედგინა.

გაეროს გენმდივნის აზრით, 20 სექტემბრის შეტაკება ბოლო წლების განმავლობაში ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ყველაზე სერიოზული ინციდენტი იყო.

პან გი მუნმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გაერო აგრძელებს ინციდენტის გამოძიებას და პასუხისმგებლობის დაკისრება რომელიმე მხარისთვის ჯერ ნაადრევია.

## აფხაზეთის პრობლემა გაეროს ტრიბუნიდან

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ აშშ-ში ვიზიტი გაეროში მეგობარი ქვეყნებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრით დაიწყო.

როგორც სახელმწიფო მინისტრის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, შეხვედრაზე, რომელზეც საუბარი აფხაზეთის კონფლიქტს შეეხო, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიაც იყო წარმოდგენილი.

დავით ბაქრაძემ სამშვიდობო მისიის გადახედვის საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. მან გაეროს უშიშროების საბჭოს მომავალი სხდომის დღის წესრიგსა და რეზოლუციაში დევნილების უპირობო დაბრუნების საკითხის შეტანის აუცილებლობაზეც ისაუბრა.



ქართულმა მხარემ გაეროს გენერალურ ასამბლეას საკუთარი ინიციატივა უკვე გადასცა.

11 ოქტომბერს კი გაეროს უშიშროების საბჭოს დახურული სხდომა იგეგმება, რომელზეც აფხაზეთში სამხედრო დამკვირვებელთა მისიისთვის მანდატის გაგრძელების თაობაზე იმსჯელებენ. სახელმწიფო მინისტრი საქართველოში 14 ოქტომბერს დაბრუნდება.

ინტერპრესნიუსი

# რა დღეშია ვართ

● მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საერთოდ კარგად გრძნობს ხოლმე დიდი დამწვრობის სუნს (მცირეს და მრავალს ყურადღებას არ აქცევს), ტუილად კი არ ეწვია ბოლო ხანს ქუთაისს და მის აღორძინებაზე მწველი სიტყვა წარმოთქვა


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ◉ მათქმევინეთ!

# დაგვიანებული რეკვიემი სიკვდილის პირას მიყვანილი პროვინციის გამო

**დედაქალაქი ყოველთვის იმარჯვებს! ვანდეამ ამიტომ წააგო სენ ჟიუსტთან, ამიტომ წააგო ვაკესა და ვერასთან მეომარმა ზვიად გამსახურდიამ თავისი სამეგრელოს რაიონებიდან ჩამოყვანილი რაზმით, რომელსაც თითქმის ოთხკლასგანათლებამიღებული სარდალი ლოთი ქობალია ხელმძღვანელობდა.**

ქუთაისის „ტორპედო" გარდაეცვალა. ვერ გეტყვით, შემოუარეს თუ არა იქაურმა გულშემატკივრებმა სტადიონს სამგლოვიარო წრეზე, როგორც ენაკვიმატი ქუთათურები იტყოდნენ ხოლმე დიდი ანგარიშით დამარცხებისას. მაგრამ თუნდაც ამ ერთ მაგალითში ნათლად იკვეთება, რა სიტუაციაა რეგიონებში, ცხადია, ბათუმის გარდა, სადაც საქართველოს პრეზიდენტის ძმაკაცი ბრძანებლობს. მაგრამ ხელისუფლებისგან ამჟამად ესოდენ პატივდებული და ძალიან საყვარელი ქალაქი ვერ იქცევა მსოფლიო მნიშვნელობის კურორტად — წელიწადში 3000 მილიმეტრი ნალექის პირობებში ვერ გახდება ასეთად, ამ მხრივ პერსპექტივა საქართველოს არაერთ კუთხეს აქვს, უფრო მთიან მხარეებს, რომლებიც პრეზიდენტის სხვა ძმაკაცების მოლოდინში არიან. სხვებიც, თუნდაც არასაკურორტო ადგილების მოსახლეობა, — თითქმის ყველა — ასეთ მოლოდინში არიან. ჩვენთან მარტო კოლოა აქაური, მწარედ ხუმრობენ ფოთელები, როცა ნიკო ნიკოლაძის ქალაქის მართვა (რეალობას მოგახსენებთ), თავის თავზე დედაქალაქელმა ჩინოვნიკებმა აიღეს.

ისევ ქუთაისს დავუბრუნდეთ. ნინო ბურჯანაძის სამეურვეო ქალაქში 300 ათასი ლარი ვერ გამოინახა, რომ ქალაქის ერთ-ერთი სიმბოლო — „ტორპედო" გადაერჩინათ, არადა, რამდენიმე წლის წინათ, სულ ცოტა, ათი კაცი მაინც მოინახებოდა, ვინც უშურველად შეეხიდებოდა ამ კოლორიტულ გუნდს. ეს ახლაც შეუძლიათ — ასევე გულალალად ან თუნდაც მერკანტილური მიზნით, თუნდაც ქალბატონ ნინოს მამის რომელიმე ძმაკაცს, მაგრამ სავარდოსა და სამაისოში ჩუმი თუ ხმაურიანი პოლიტიკური ვნებები მძვინვარებს და ფულის გამოჩენისაც ეშინიათ. იქ, თურმე, ყოფილა გუბერნატორი ბობოხიძე, რომელსაც, ხანდახან (როგორც ირწმუნებიან) თვალს მოკრავენ ხოლმე სამუშაო ადგილზე. საერთოდ, ბოლო პერიოდში საქართველოს რიგით მეორე მნიშვნელობის ქალაქი რაგბის ბურთივით ხელიდან ხელში გადაეცემა — რამდენი ქალაქის თავი შეიცვალა სულ მოკლე დროში. ნინო ბურჯანაძეს, ეს აშკარაა, ნაციონალებთან ჩუმი დაპირისპირება აქვს, რამდენიმე გავლენიან გვამთან მაინც, ამიტომ წირავენ გუნდს და, საერთდ, ქალაქს. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საერთოდ კარგად გრძნობს ხოლმე დიდი დამწვრობის სუნს (მცირეს და მრავალს ყურადღებას არ აქცევს), ტუილად კი არ ეწვია ბოლო ხანს ქუთაისს და მის აღორძინებაზე მწველი სიტყვა წარმოთქვა.

აქ თემას გადავუხვევ და ვიტყვი: ვარდოსნები მაინც მადლიერები უნდა იყვნენ ნინო ბურჯანაძის: იმ პროცესების დროს, რომელიც შემდეგ რევოლუციად მონათლეს, კინაღამ ბევრი სისხლი დაიღვარა, ყოველ შემთხვევაში, ერთ ეპიზოდში მაინც აშკარად შეიქმნა დიდი შეჯახების საშიშროება: პარლამენტის წინ მდგარ აჭარის „დესანტში" მრავლად იყვნენ ასლან აბაშიძის შეიარაღებული დაცვის თუ გვარდიის წევრები (ზოგს მოკლე ისრაელური ავტომატი „უზი"ედო უბეში). ასეთ დროს კი თავცხელა ვარდოსნების ერთმა ჯგუფმა ჯებირის გარღვევა მოინადინა და ორიოდე მძიმე მანქანა გამოათრია იმ მწკრივიდან, რომელიც „სტუმრებსა" და „მასპინძლებს" ყოფდა... ამ დროს ქალბატონი ნინო, ამას ვერ დავუკარგავთ, მარტო გამოვარდა პარლამენტიდან და მომხრეების დაშოშმინება სცადა. იქ სხვა არავინ იყო რევოლუციის ბელადთან. შეიძლება ნინო ბურჯანაძის ჩარევის გამო მოინათლა „რევოლუცია" უსისხლოდ.

დღეს კი იგი „აუტშია", თუმცა, ნომინალურად პარლამენტის თავმჯდომარეა.

სასაცილოა თუ სატირალი, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მმართველობის თვალსაზრისით, ამჟამად რაიონებში გაცილებით უარესი ვითარებაა, ვიდრე კომუნისტების დროს იყო (სოციალური მდგომარეობა ხომ საერთოდ შესადარებლადაც არ ღირს): მაგალითად, გლეხმა, თუკი თავის კუთვნილ მიწაზე რაიმე ჯიხურის ჩადგმა მოინდომა, რაიონში ოთხი ინსტანცია მაინც უნდა მოიაროს, რათა სულ 4 კვადრატულ მეტრ მიწას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსი საწინააღმდეგო კატეგორიით, ანუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეუცვალოს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამისთვის თბილისში ჩამოსვლაც მოუწევს. ადრე ამას, უბრალოდ, ჩვეულებრივი სოფლის საბჭო აკეთებდა. დღეს კი ისეთი ბიუროკრატია მძვინვარებს, რომელიც ტვინსა და ჯიბეს თანაბრად ხვრეტს.

**ის საშინელება, რაც ახლა კახეთში ხდება, არის „უბრალოდ" ხელისუფლების მთავარი იდეოლოგის პირით გაცხადებული პოლიტიკა — სოფლის მეურნეობა არ გვჭირდებაო** (აქ ისიც უნდა ითქვას, რომ შესაძლოა მოსალოდნელი მიტინგების შიშით, ხელისუფლებამ ხისტი პოზიცია ცოტა შეარბილა და მდგომარეობა მცირედ მაინც, მაგრამ გამოასწორა). რა ქნან კახელებმა — ბამბის წეწვა დაიწყონ? თუმცა, ბამბაც სოფლის მეურნეობის პროდუქტია. როცა ქარხნის დირექტორს ჩუმად უბრძანებ — გლეხს კილოგრამ საფერავში 45 თეთრზე მეტი არ გადაუხადო, თორემ დანარჩენს მაინც „ზემოთ" მოგატანინებთო (ასეთ მაგალითზე თვითონ გლეხებიც ლაპარაკობენ) ამის შემდეგ რა მევენახეობის განვითარებაზე ან, საერთოდ, გადარჩენაზე შეიძლება ლაპარაკი.

**ასეთი პოლიტიკის გამტარებლებს,ცხადია, სურთ საქართველო — ნატურალური, გამორჩეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით თავმომწონე ქვეყანა — იმპორტირებული, გენმოდიფიცირებული პროდუქციის ნაგავსაყრელად აქციონ.** და იმ ნაგვიდან დიდ მოგებას ნახავენ — იმპორტიც ხომ, როგორც ყველაფერი, მათ ხელშია. საწამლავი საკვები კი თავისუფლად შეიძლება გაუთანაბრდეს ჩუმი და შენელებული მოქმედების გენოციდს.

მოკლედ, პროვინცია ლამის სიკვდილის პირას მიიყვანეს. ქართული ფეხბურთის სამშობლოს — ფოთსაც გამოუსვეს ცელი ფეხებში, „კოლხეთსაც" მისი ქუთაისელი „კოლეგის" ბედი ეწია, გურიაში პოპულარულია ბოლო წლების ანეკდოტი: **დილით გურული მეზობელს ეუბნება, გაიგე ვარდენ, წუხელ ნატოს ავიაციამ გადაგვიფრინაო. რეიზა არ დაგვბომბეს? — შეიცხადა მეზობელმა. უკვე დაბომბილები ვეგონეთ, — ამშვიდებს ფხიზელი გურული.**

2003 წლის ნოემბერში „ვარდისფერი" კოლონა თბილისისკენ წალენჯიხიდან დაიძრა. ვინ მოიგო ამით, წალენჯიხელებმა? ჩადით და ჰკითხეთ. ახლა გაერთიანებულმა ოპოზიციამ დიდი მარში დაიწყო კახეთიდან.

**როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ ვინ მოიგებს ამით?**

**გიორგი ჩოჩიშვილი**

**P. S. თუმცა, ამაზე უარესი სიტუაცია, დღეს რომ არის, კახელ მევენახეებს ვერ წარმოუდგენიათ. ეს ოხერი იმედიც სიკვდილს არ ჩქარობს.**

გ. ჩ.

## ◉ ფელეტონი

# ძრწოდეთ, ქრთამითა დაღდასმულნო!...

**მთავრობის სულაც არასაიდუმლო სერობაზე (ყველა ტელეკომპანიის ეკრანით გაჩახჩახებულზე!) ქვეყნის პრეზიდენტი მორიგი მაღალეფექტიანი ინიციატივით გამოვიდა (თუ შემოვიდა): მასთან (პრეზიდენტთან) კორუფციამედეგი სტრუქტურა ჩამოყალიბდება, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურთან იქნება ანგარიშვალდებული და ჰა და ჰა, პარლამენტის თავმჯდომარესთან.**

აბა ახლა გაბედონ „ქრთამწაღებულებმა" ლარ-დოლარების აღება! დიდჩინოსნებსა და მებაჟეებს თურმე ისე აკანკალათ, რომ მეტეოროლოგიურმა სამსახურმა ძლივს დაადგინა, თუ საიდან უბერავდა ქარი.

დაუვიწყარი დათა თუთაშხია გვმოძღვრავს — რასაა რომ არ ფიქრობ კაცი! ეგ ყველაფერი ჰო, მაგრამ თვით პრეზიდენტსა და სპიკერს ვინ გაუკონტროლოს წლიური, ვთქვათ, სამოგზაურო ხარჯები, ვინ დაადგინოს, რა „უბიუჯეტო" სახსრებით შენდება, მაგალითად, საპრეზიდენტო სრა-სასახლე, не то 50-მილიონდოლარიანი, не то 60-მილიონდოლარიანი? („სამოგზაურო" განა ტყუილად ვიკითხეთ — მკითხველს გავახსენებთ, რომ ყველა დროის ყველაზე გამორჩენილი ქართველი მოგზაურის გამოსავლენად მოწყობილ ტელეგამოკითხვაზე პრეზიდენტი პირველ ადგილზე გავიდა, სპიკერი — მეორეზე, ხოლო სახელგანთქმული ველოსიპედისტი ჯუმბერ ლეჟავა — მეექვსეზე!).

... კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ახალ ეტაპს, ვარდებისრევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს სტარტი მიეცა, წამმზომი ჩაირთო! აწი ნახეთ ბიუჯეტის გაზრდა! ამასობაში კი პური (50 თეთრიდან ათვლით) 20 პროცენტით გაძვირდა, მაწონი (ასევე 50 თეთრიდან ათვლილი) — 40 პროცენტით: პური უკვე 60 თეთრი ღირს, მაწონი — 70 თეთრი. თუ არ გჯერათ, გამოთვალეთ...

**არჩე შინია**



## ◉ ინფორმაცია

### გილაურს თანამდებობები ემატება

**ფინანსთა მინისტრი ნიკა გილაური მსოფლიო ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში საქართველოს მხარის მმართველად, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო ფონდში ალტერნატიულ მმართველად დაინიშნა.**

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის წლის 24 სექტემბრის №523 განკარგულების თანახმად, აღნიშნული მოვალეობისგან, შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალექსი ალექსიშვილი გათავისუფლდა.

გარდა ამისა, ნიკა გილაური აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მხარის მმართველიც იქნება.

### ქართველი მაღალჩინოსანი სამხედროები — ერაყში

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია და გაერთანებული შტაბის უფროსი ზაზა გოგავა ერაყში იმყოფებიან.**

როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, ქუთელია და გოგავა ერაყში მყოფ ქართულ საჯარისო ნაწილებს მოინახულებენ. დაგეგმილია ოფიციალური შეხვედრები ქალქ ბაქუბაშიც.

მათივე განმარტებით, ვიზიტი გასულ კვირას ერაყში ქართველი სამხედრო მოსამსახურის თვითმკვლობის ფაქტს არ უკავშირდება.

რაც შეეხება უშუალოდ ამ ფაქტს, როგორც სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება კვლავ თვითმკვლელობის ვერსიას განიხილავს. მათივე თქმით, გარდაცვლილის მშობლები გაეცნენ ექსპერტიზის დასკვნას და გვამიც დაათვალიერეს.

— გვამს ქვედა ყბის არეში შემავალი და თავის ზემო ნაწილში გამავალი ერთი გამჭოლი ჭრილობა აღენიშნება. ოჯახს თვითმკვლელობის ვერსიასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნია. თვითმკვლელობის მიზეზად კი ამ დრომდე პირადი მოტივი სახელდება, — აღნიშეს სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

# უცხოური პრესა

● „ბაგრატიონების დინასტიის აღდგენით, ქართველი ხალხი ისტორიულ სამართლიანობას აღადგენს", — აღნიშნა „ახალი მემარჯვენეების" ოპოზიციური პარტიის ლიდერმა დავით გამყრელიძემ



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## „დაე, მეფემ იმეფოს"

პოლიტიკურ კრიზისს საქართველოში საკმაოდ მოულოდნელი ფორმები მიეცა. ჯერ იყო და, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, რომ საჭიროა ქვეყანაში მონარქიის აღდგენა. მომდევნო დღეს კი, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა და „ერთიანი საქართველოსთვის" პარტიის ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა აღიარა მისთვის წაყენებული ბრალდებები. თანაც, ამ ადამიანმა უარყო პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით მის მიერვე გამოთქმული სკანდალური ბრალდებები.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გადაწყვიტა, რომ გაათავისუფლებდა ოქრუაშვილს, თუ იგი გირაოს სახით გადაიხდიდა 10 მილიონ ლარს (დაახლოებით 6 მილიონი ამერიკული დოლარი). ეს თანხა უპრეცედენტოა ქართული სახელმწიფოსთვის.

„ერთიანი საქართველოსთვის" პარტიის წარმომადგენლებმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ მათმა ლიდერმა აღიარებითი ჩვენება მისცა „ხელისუფლების მხრიდან დიდი და არაადამიანური ზემოქმედების პირობებში". აღსანიშნავია, რომ ექს-მინისტრის ადვოკატებს ამ პროცედურაზე დასწრების უფლება არ მისცეს.

ოქრუაშვილის აღსარების მიუხედავად, მისი მომხრეები არ აპირებენ საპროტესტო აქციათა შეწყვეტას. გაერთიანებული ოპოზიცია ემზადება თბილისში, პარლამენტის შენობის წინ დიდმასშტაბიანი მიტინგის გასამართავად, რომელიც 2 ნოემბრისთვის დანიშნეს.

ამ ფონზე რამდენადმე მეორე პლანზე გადაიწია ილია მეორის სენსაციურმა ქადაგებამ. კათალიკოს-პატრიარქმა კვირას პირდაპირ განაცხადა: „სადღეისოდ საქართველოში ისეთი პირობებია შექმნილი, რომ შესაძლოა შეესხას ხორცი ქართველი ხალხის სანუკვარ ოცნებას კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის შესახებ, თუ იქნება უფლის ნება". ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა გამოთქვა სახელმწიფო მოწყობის ისეთი ფორმულა, როცა „მეფე მეფობს, მაგრამ ქვეყანას არ მართავს", იგი არის ერის ერთიანობის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი, თითოეული ადამიანის ქომაგი. კათალიკოს-პატრიარქის აზრით, სწორედ კონსტიტუციური მონარქია მისცემს ქვეყანას პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას. არჩევანი უნდა გააკეთოს ხალხმა, რომელიც, როგორც ილია მეორეს მიაჩნია, ოცნებობს ბაგრატიონების „უძველესი დინასტიის" აღდგენაზე. ქართულ ტახტზე ასვლის კანდიდატი უნდა აირჩიონ სამეფო დინასტიის წარმომადგენლებს შორის, იგი ბავშვობიდანვე უნდა გაზარდონ მეფობისთვის, — მიაჩნია კათალიკოს-პატრიარქს.

„ბაგრატიონების დინასტიის აღდგენით, ქართველი ხალხი ისტორიულ სამართლიანობას აღადგენს", — აღნიშნა „ახალი მემარჯვენეების" ოპოზიციური პარტიის ლიდერმა დავით გამყრელიძემ. როგორც მას მიაჩნია, „ქართველ ხალხს არასდროს დაუმხია მეფე, არ უთქვამს უარი მონარქიაზე რეფერენდუმის გზით. ჩვენში მოახდინეს ქართული სამეფოს ანექსია". შეგახსენებთ, რომ საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო გიორგი მე-12, ერეკლე მეორის ვაჟი, რომელმაც რუსეთთან მოაწერა ხელი გიორგიევსკის ტრაქტატს. გიორგი მეთორმეტის მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი 1801 წელს შეწყდა.

კათალიკოს-პატრიარქის იდეას მხურვალედ დაუჭირა მხარი მრავალმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელთა ნაწილიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გამოთქვამდა წინადადებას, რომ ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტოზე უნდა გადავიდეს. „საქართველო — პრეზიდენტის გარეშე!" ასეთი იყო გაერთიანებული ოპოზიციის ამ ცოტა ხნისწინანდელი გამოსვლის ერთ-ერთი ლოზუნგი. „ახალმა მემარჯვენეებმა" უკვე გამოსცეს სპეციალური დეკლარაცია, რომელშიც ისინი აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ქართული სახელმწიფოს მოწყობის ბედი უნდა გადაწყდეს რეფერენდუმის გზით, რომელიც, მათი აზრით, უნდა გაიმართოს 2008 წელს პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად. რაც შეეხება ქართული ტახტის დაკავების კანდიდატის არჩევას, ეს არის ეკლესიის, კათალიკოს-პატრიარქისა და წმინდა სინოდის პრეროგატივა.

ამ პარტიის წარმომადგენლები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს იმას, რომ კონსტიტუციურ მონარქს აქვს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გადაყენების უფლება, რაც სახელმწიფოს დაიცავს შესაძლო დიქტატურისგან. კონსტიტუციურ მონარქიაში ისინი ასევე ხედავენ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისა და აფხაზებთან ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გზას.

ანალოგიური ხასიათის განცხადებებს აკეთებენ „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის", „კონსერვატიული პარტიის", „საქართველოს გზით" პარტიის, „მრეწველების" და თვით ლეიბორისტების წარმომადგენლებიც კი, რასაც ვერ ვიტყვით მმართველი პარტიის — „ეროვნული ნაციონალური პარტიის ბანაკზე. **იქ, როგორც ჩანს, ელიან პარტიის ლიდერის, ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რეაქციას, რომელიც ამჟამად ვიზიტად იმყოფება დანიაში, სხვათა შორის, კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაში.**

**ირინე ბარამიძე**

**НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ**

## საქართველომ მონანიება იხილა

**8 ოქტომბერს მოულოდნელად განვითარდა საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრების გამო აგორებული სკანდალი. საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულმა „რუსთავი"-2 ტელეარხმა გადასცა ბატონ ოქრუაშვილის აღსარებითი ჩვენების კადრები, რომლებზეც დაპატიმრებულმა განაცხადა, რომ მონაწილეობდა კორუფციულ საქმიანობაში, აღიარა, რომ განზრახ დასწამა ცილი ქვეყნის პრეზიდენტს.**

საქართველოს გენერალური პროკურატურა უკვე იტყობინებოდა, რომ ასეთი აღსარების შემდეგ ოპოზიციონერი შეიძლება გაათავისუფლონ, თუ იგი გირაოს სახით გადაიხდიდა 10 მილიონ ლარს — დაახლოებით 6 მილიონ ამერიკულ დოლარს.

ამავე დროს, ექს-მინისტრის ადვოკატები დარწმუნებული არიან, რომ ოქრუაშვილს ძალდატანებით აიძულეს ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი ჩვენების მიცემა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი 27 სექტემბერს დააპატიმრეს კორუფციის ბრალდებით, 8 ოქტომბერს კი იგი გახდა ქართული სატელევიზიო ახალი ამბების მთავარი გმირი.

შერისხულმა პოლიტიკოსმა, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ ამხილებდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მკვლელობათა დაგეგმაში და მსხვილი ბიზნესის მფარველობაში, ამჯერად მისცა ჩვენება მის მიერვე გამოთქმული ბრალდებების წინააღმდეგ.

ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა „რუსთავი-2" ტელეარხმა გადასცა ბატონ ოქრუაშვილის დაკითხვის ამსახველი კადრები, რომლის დროსაც განსასჯელმა აღიარა, რომ მონაწილეობდა ზოგიერთი დანაშაულის ჩადენაში. „ნაწილობრივ ვაღიარებ, რ ომ მიმიძღვის ბრალი სასამსახურებრივი გულგრილობის გამო, რადგან სრულად ვერ ვაკონტროლებდი თავდაცვის სამინისტროში შექმნილ სიტუაციას. ვმონაწილეობდი „ჯეოსელის" კომპანიის კუთვნილი აქციების გამოძალვაში", — თქვა ეკრანზე „ერთიანი საქართველოსთვის" ოპოზიციურ პარტიის ლიდერმა.

აღიარა რა კორუფციულ დანაშაულობებში მონაწილეობა, ირაკლი ოქრუაშვილი არც ამას დასჯერდა. საჯაროდ გამოქვეყნებულ ვიდეოჩანაწერში ყოფილი მინისტრმა, ფაქტობრივად მთლიანად უარყო მის მიერვე გამოთქმული მამხილებელი განცხადებები, რომლებიც მან გააკეთა 26 სექტემბერს დამოუკიდებელი ტელეკომპანიის „იმედის" ეთერით გამოსვლისას, და აღნიშნა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით გამოთქმული ბრალდებები გამონაგონი იყო. „მე ვერ ვადასტურებ ამ ფაქტებს. ეს არ შეესაბამება სიმართლეს, — აღიარა ექს-მინისტრმა. — ეს განცხადებები გავაკეთე პოლიტიკური დივიდენდების მიღებისა და პრეზიდენტ სააკაშვილის დისკრედიტაციის მიზნით".

ოქრუაშვილის აღსარებას დიდი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. „ორი წაყენებული ბრალდების მიხედვით დანაშაულის აღიარების საფუძველზე ოქრუაშვილი წარსდგა სასამართლოს წინაშე, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის სახით გამოტანილი განაჩენი შეეცვალა გირაოთი — 10 მილიონი ლარით, რაც საქართველოსთვის უპრეცედენტო თანხაა", — თქვა გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკა გვარამიამ. თუმცა, გვარამიამ იქვე დასძინა, რომ პოლიტიკოსს გაავისუფლებენ მაშინ, როცა მთლიანად გადაიხდის აღნიშნულ თანხას.

ოპოზიციონერის აღსარებამ აღაფრთოვანა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" — პრეზიდენტის მხარდამჭერი მმართველი პარტიის ლიდერიც. პარტიის გენერალურმა მდივანმა დავით კირკიტაძემ 8 ოქტომბერს გამოთქვა ახალი ბრალდებები ირაკლი ოქრუაშვილის მისამართით და განაცხადა, რომ ეს ადამიანი, თურმე, სახელმწიფო გადატრიალებასაც გეგმავდა. „მალე გამოვავლენთ და დავაკავებთ ამ გეგმის ყველა მონაწილეს", — თქვა ბატონმა კირკიტაძემ.

სავარაუდოდ, უახლოესი მომავლისათვის ხელისუფლების მორიგი სამიზნე გახდება ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც უკვე ამხილეს ოქრუაშვილთან მჭიდრო კავშირში. მაგალითად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერს მაია ნადირაძეს არ გამოურიცხავს, რომ პატარკაციშვილის წინააღმდეგაც შეიძლება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. „ბადრი პატარკაციშვილი უცნაური პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც გარედან აყენებს დარტყმებს ქვეყნის ხელმძღვანელობას", — აღნიშნა მაია ნადირაძემ. მას მხარი დაუჭირა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გავლენიანმა წევრმა გიგა ბოკერიამ, რომელმაც ბიზნესმენს ურჩია, შეწყვიტოს „სხვისი ხელით ინტრიგების ხლართვა": „ეს ადამიანი უნდა გამოვიდეს ჩრდილიდან და საჯაროდ გამოაცხადოს თავისი გეგმების შესახებ, მით უმეტეს, რომ საქართველოში არავის დევნიან პოლიტიკური მოტივით".

ამავე დროს, ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატს და მის თანაპარტიელებს არ სწამთ თავიანთი ლიდერის აღსარებისა. როგორც მათ აღნიშნეს, ტელევიზიით ნაჩვენებ ფირზე ოქრუაშვილი ძალზე დათრგუნულად გამოიყურებოდა. აქედან გამომდინარე, მისმა მომხრეებმა დაასკვნეს, რომ ბატონ ოქრუაშვილი აიძულეს მიეცა ჩვენება მის მიერვე გაკეთებული განცხადებების წინააღმდეგ. „არც ერთი ადვოკატი, რომლებიც უძღვებიან ოქრუაშვილის საქმეს, არ დასწრებია დაკითხვას. ჩვენ არც კი შეგვატყობინეს, რომ ოქრუაშვილი უნდა დაეკითხათ. ეს მოხდა შაბათ-კვირას, მაშინ, როცა გამოძიება არ მიმდინარეობს. ამის შესახებ არაფერი ვიცოდით", — განაცხადა ყოფილი მინისტრის ადვოკატმა ეკა ბესალიამ. ბესელიას თქმით, „დაკითხვას ესწრებოდა მისთვის სრულიად უცნობი ადვოკატი". „როგორც ჩანს, ოქრუაშვილი დაკითხეს მასზე ზემოქმედების პირობებში", — გამოთქვა ვარაუდი ადვოკატმა.

და მაინც, ყოფილი მინისტრის მომხრეებმა დაიწყეს სახსრების შეგროვება გირაოს თანხის გადასახდელად, რადგან რაც შეიძლება მალე გაათავისუფლონ ოქრუაშვილი. „სახალხო პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა მოუწოდა ქვეყნის მოსახლეობას ამ საქმეში შეძლებისდაგვარი წვლილის შეტანისათვის. **„ირაკლი ოქრუაშვილი არის ტერორისტთა ბანდის მძევალი, რომლებიც აწამებენ მას და მოითხოვენ გირაოს თანხის გადახდას. მოვუწოდებთ ყველას, რომ შეძლებისდაგვარად შეაგროვონ ფული — ერთი ლარი, 10 ლარი თუ უფრო მეტიც. პირადად მე, გავიღებ ყველაფერს, რაც ოჯახში მაქვს — ათას ლარს"**, — თქვა ბატონმა დავითაშვილმა.

**ვლადიმერ სოლოვიოვი,**
**ვლადიმერ ნოვიკოვი**

**ИЗВЕСТИЯ**
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА



◎ ვიდეოხიდი თბილისი-მოსკოვი-კიევი

## დსთ: რეფორმირების პრობლემები, მონაწილეთა პრიორიტეტები

(მეორე გვერდიდან)




შეხვედრის ფ::რმატში გათვალისწინებული იყო ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის გაცემაც.

თბილისიდან ვიდეოხიდში მონაწილეობდნენ: სოსო ცინცაძე — პოლიტოლოგი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი; ნინო ნაკაშიძე — საქართველოს პარლამენტის ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე; დავით აფრასიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; **ლევან ცუცქირიძე** — საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი; **ივლიანე ხაინდრავა** — რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის წევრი.

ასევე წარმომადგენლობითი იყო კიევური მონაწილეობაც. მათი უმრავლესობა იზიარებდა ჩვენს წარმომადგენელთა აზრს დსთ-ს უპერსპექტივობის შესახებ, თუმცა მათ შორის არ იყო ისეთი ერთსულოვნება, როგორც ქართველ მონაწილეთა რიგებში.

ამაზე მოსკოვიდან ცნობილმა კონსტანტინე ზატულინმა საყვედური გამოთქვა:

— თქვენ გამო არ არის ეფექტიანი დსთ?! თუ არ გინდათ, მაშინ დატოვეთ ბარემ ეს თანამეგობრობა...

**რაზეც თბილისიდან და კიევიდან უპასუხეს, რომ მანდეთ კი მიდის საქმე, თუმცა ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, რადგან დსთ-ს სამიტებზე კოლეგების შეხვედრები მაინც ხდება, და ეს არის პოზიტიური.**

**მურად ალაშვილი**

# დედამიწის ზურგზე

● ისრაელის არმია აქტიურად იყენებს უპილოტო თვითმფრინავებს ხმელეთსა და ზღვაზე სადაზვერვო ოპერაციის განხორციელების მიზნით



## შეერთებულ შტატებში სპეციალურ იარაღს ამუშავებდნენ



**ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქვეყანაში ამუშავებდნენ რადიაქტიურ იარაღს. იგი განკუთვნილი იყო მოწინააღმდეგის შენაერთების გასანადგურებლად, მტრის ტერიტორიების დასაბომბად და „მნიშვნელოვან პერსონათა" მოსაკლავად.**

ამ საბუთებს „საიდუმლო" გრიფი მოხსნეს მას შემდეგ, რაც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის შესაბამისად Associated Press სააგენტომ ჯერ კიდევ 1995 წელს გამოთქვა მოთხოვნა ამის თაობაზე.

როგორც გაირკვა, დოკუმენტების ბოლომდე განსაიდუმლოება მაინც არ მომხდარა. მათში მრავალ სტრიქონს გადასმული აქვს შავი სალებავი. ამერიკის ხელისუფლებამ ასეთი გზით კვლავ საიდუმლოდ შეინახა ინფორმაცია, მაგალითად, იმ ნივთიერებათა შესახებ, რომლებსაც იყენებდნენ იარალის შემუშავების დროს.

რადიაქტიური იარალის შემმუშავებლებს, უწინარეს ყოვლისა, აინტერესებდათ რადიაციის ხანგრძლივი დროით გავრცელება დასახლებულ პუნქტებში ან სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვან ტერიტორიებზე. ამასთან, მოსახლეობას უნდა დაეტოვებინა ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი 10 წლის განმავლობაში მთლიანად ამოწყდებოდა. მეორე ეტაპზე აპირებდნენ ეგრეთ წოდებული „ჭუჭყიანი ბომბის", ანუ რადიაქტიური საბრძოლო მასალის შექმნას. მესამე პუქტად ფიგურირებდა იარაღი, რომელსაც შეეძლებოდა რადიაციის გავრცელება მოწინააღმდეგის ძალების სავარაუდო ევაკუაციის ზონაში. ამის შემდეგ კი გათვალისწინებული იყო სამუშაოები „ინდივიდუალური გამოყენებისათვის" განკუთვნილი ბომბის შესაქმნელად.

მუშაობა დაიწყო 1948 წლის დეკემბერში, „ომის წარმართვის ახალი კონცეფციის" ფარგლებში. იარალი მზად უნდა ყოფილიყო 1950 წლისთვის. სხვა პროექტების შემუშავებისათვის საქმიანობა შეწყდა დაახლოებით 1954 წელს, როცა პენტაგონში გადაწყვიტეს, რომ ძირითადი ძალისხმევა უნდა გადაეტანათ ბირთვული იარალის შექმნაზე.

არა არის ნაპოვნი მტკიცებულებანი იმის თაობაზე, რომ რეალურად იყო გამოყენებული „ჭუჭყიანი ბომბები" ცალკეულ პირთა წინააღმდეგ. ჩანაწერში ხაზგასმულია: „ამ კლასის იარალის გამოყენება გათვალისწინებულია საიდუმლო აგენტების ან დივერსიული ქვეგანაყოფების მიერ მნიშვნელოვან პერსონათა პატარ-პატარა ჯგუფების სალიკვიდაციოდ, მაგალითად, სამოქალაქო ან სამხედრო ლიდერების შეხვედრის დროს".

ალსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში არ არსებობდა მკაფიო საკანონმდებლო აკრძალვა იმის თაობაზე, რომ ამერიკელ აგენტებს მოეკლათ უცხოეთის ლიდერები. ასეთი რამ შემოიღეს მხოლოდ 1976 წელს, როცა პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა მოაწერა ხელი შესაბამის განკარგულებას. ასეთი იყო პრეზიდენტის რეაგირება იმაზე, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 1960-იან წლებში ამუშავებდა კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს მკვლელობის გეგმას.

გასაიდუმლოებულ ჩანაწერში ხაზგასმულია: **„მნიშვნელოვან პერსონათა" განადგურების ოპერაცია უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ შეუძლებელი იყოს მათში ამერიკელთა მონაწილეობის კვალის დადგენა".**

## კუბაში ჩე გევარას იხსენებენ

№ 195. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

**კუბაში პატივს მიაგებენ ლათინურ ამერიკაში ყველაზე ცნობილი რევოლუციონერი-მარქსისტის ერნესტო ჩე გევარას ხსოვნას, რომელიც 40 წლის წინათ დახვრიტეს.**

დაახლოებით 10 ათასი კაცი შეიკრიბა ქალაქ სანტა-კლარაში მდებარე კომანდანტეს მავზოლეუმთან გამართულ ცერემონიაზე, სადაც იგი იბრძოდა 1958 წლის დეკემბერში.

ცერემონიას ესწრებოდა რაულ კასტრო, რომელიც დროებით ითავსებს მისი ძმის — კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს პოსტს.

არგენტინელი რევოლუციონერი 1966 წელს ჩავიდა ბოლივიაში აჯანყების ორგანიზებისთვის. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც კონგოში წარუმატებლად დასრულდა მისი ოპერაცია. ჩე გევარა შეიპყრეს და დახვრიტეს ბოლიველმა ჯარისკაცებმა. ეს მოხდა 1967 წლის 9 ოქტომბერს, ბოლივიის სოფელ ლა იგერაში, როცა იგი 39 წლის იყო.

1960-იანი წლების დამლევიდან ჩე გევარას იდეები და შეხედულებები ძალზე პოპულარულია მთელი მსოფლიოს ახალგაზრდებს შორის, ხოლო მისი პორტრეტი, რომელზეც ჩე ალბეჭდილია ბერეტით და წვერმოშვებული, გახდა მეოცე საუკუნის ყველაზე ფართოტირაჟიანი გამოსახულება.

კრიტიკოსები ჩე გევარას მიიჩნევენ ადამიანად, რომლის ბრძანებითაც დახვრიტეს ათობით ოპონენტი, და რომელმაც დიდი ძალისხმევა მოახმარა რევოლუციის პირველ წლებში კუბაში კომუნიზმის დამყარებას.



ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა მოინახულა ის ადგილი, სადაც თავდაპირველად დაკრძალული იყო კომანდანტე ჩე, და სიტყვით მიმართა შეკრებილთ. „ჩე ცოცხალია, — თქვა მორალესმა. — მისი გმირული ბრძოლა, ისევე როგორც სხვა რევოლუციონერების ბრძოლა, კვლავაც გაგრძელდება მანამ, სანამ ველური კაპიტალიზმი არ შეიცვლება", — აღნიშნა ბოლივიის პრეზიდენტმა.

ვენესუელაში ქვეყნის მოსახლეობისადმი სატელევიზიო მიმართვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ჩე გევარას „მარადიული რევოლუციონერი" უწოდა.

## ჩინეთის უმდიდრეს ადამიანთა სიას სათავეში 26 წლის იან ჰუეიანი ჩაუდგა

**FORBES ჟურნალის ვერსიით, 26 წლის იან ჰუეიანი სათავეში ჩაუდგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყველაზე მდიდარ ადამიანთა სიას. გამოცემის მონაცემებით, ამ ქალბატონის ქონება ამჟამად შეფასებულია 16,2 მილიარდ დოლარად. ჩინეთის უმდიდრესი მცხოვრები, რომელიც აზიაში ყველაზე მდიდარი ქალის ტიტულსაც ატარებს, თავის მატერიალურ კეთილდღეობას უნდა უმადლოდეს მისი კუთვნილი „ბიგუიუანის" კომპანიის მიერ ჰონკონგის საფონდო ბაზარზე მიმდინარე წელს აქციათა წარმატებულ პირველად განთავსებას. ეს კომპანია საქმიანობს უძრავი ქონების სფეროში.**

მეორე ადგილი დაიკავა ჩინეთის საინვესტიციოსამშენებლო ბიზნესის კიდევ ერთმა წერმომადგენელმა, „შიმაო ძიტუანის" კომპანიის ხელმძღვანელმა, მაგნატმა სიუი ჟუნმა, რომლის ქონება 7,3 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.



ჟურნალის ვერსიით, ამ სიაში მესამე ადგილზე ფიგურირებს „ფუსინ გოძის" საინვესტიციო-სამრეწველო ჰოლდინგის მფლობელი გო გუანჩანი, რომლის კაპიტალმა 4,85 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ანალიტიკოსთა შეფასებით, ლიდერთა სამეული თავისი ქონების ასეთ გადიდებას უნდა უმადლოდეს ჩინეთის უმსხვილეს ქალაქებში ამ ბოლო წლების განმავლობაში უძრავი ქონების ფასების არნახულ ზრდას.

Forbes-ის სიაში, რომელშიც 40 კაცი ფიგურირებს, შედიან მხოლოდ მატერიკულ ჩინეთში მცხოვრები მილიარდელები, ჰონკონგის მონაცემების გაუთვალისწინებლად. მათი მთლიანი ქონება შეფასებულია 120 მილიარდ დოლარად.

ალსანიშნავია, რომ 2007 წელს სიაში 20 ახალი გვარი გამოჩნდა.

## ისრაელში ახალი უპილოტო თვითმფრინავი შექმნეს

**ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ წარმოადგინა ახალი ნამუშევარი — „ეითან" მძიმე უპილოტო თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია მიზნის მიღწევა შორ მანძილზე ისე, რომ ჰაერში იფრინოს 24 საათის განმავლობაში (მათ შორის — უამინდობის პირობებშიც) და გადაიტანოს ერთ ტონამდე ტვირთი. „ეითანს" თავისუფლად შეუძლია მიაღწიოს ირანის ტერიტორიამდე, რასაც განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ისრაელში.**



დიდი გაბარიტების მიუხედავად, რამდენიმე ასეულ ან ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე ფრენისას თვითმფრინავი არ გამოსცემს ხმას, ამიტომაც, მისი გამოყენება შესაძლებელია ისე, რომ მოწინააღმდეგემ იგი ვერცკი შენიშნოს. „ეითანის" ფრენის ზღვრული სიმაღლეა 15 ათასი მეტრი, წონა კი 4,5 ტონას აღწევს.

თვითმფრინავის პრეზენტაცია გაიმართა ტელნოფის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაში. ამჟამად სამუშაოები დასკვნით სტადიაშია და, სავარაუდოდ, ერთი წლის შემდეგ, „ეითანის" ტიპის თვითმფრინავებით აღიჭურვება ისრაელის თავდაცვის არმია.

როგორგოც თვითმფრინავის შემმუშავებელმა მაიორმა ელი კაცმა განაცხადა, „ეითანი" არის ყველაზე სრულყოფილი საფრენი აპარატი, რომელიც კი ამ მომენტისთვის აქვს ისრაელის არმიას.

ალსანიშნავია, რომ გასული წლის ივლისში წარმატებით დასრულდა „ეითანის" საცდელი ფრენა. მისი გადიდებული ტვირთამწეობა არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ისრაელის ავიამშენებლობის გზაზე.

თავის მხრივ, „ეფრონ" უპილოტო თვითმფრინავი, რომლითაც უკვე აღიჭურვა ისრაელის არმია, არის ყველაზე მცირე თავისი ზომის მიხედვით, მაგრამ, როგორც ამ სისტემის შემმუშავებელმა მაიორმა ავირამ შმუელიმ თქვა, იგი თითქმის „შეუცვლელია" დაზვერვისთვის, რადგან შეუძლია მოწინააღმდეგის პოზიციების მაღალხარისხიანი ვიდეოგადაღება.

ისრაელის არმია აქტიურად იყენებს უპილოტო თვითმფრინავებს ხმელეთსა და ზღვაზე სადაზვერვო ოპერაციის განხორციელების მიზნით. დაბალ სიმაღლეზე ფრენისთვის იყენებენ „ეფრონის" ტიპის თვითმფრინავებს, საშუალო სიმაღლეზე — „შოველს", დიდ მანძილზე და დაბალ სიმაღლეზე ფრენისას კი გამოიყენებენ „ეითანს".

## რიო-დე-ჟანეიროში გიგანტური მცურავი ნაძვის ხის მონტაჟი დაიწყეს

**ეს გიგანტური მცურავი ხელოვნური ნაძვის ხე რიო-დე-ჟანეიროს მთავარი საახალწლო ღირსშესანიშნაობა გახდება.**

82 მეტრი სიმაღლის ამ ურთულესმა კონსტრუქციამ უნდა გაახაროს რიოს მცხოვრებლები და ის მრავალი ტურისტი, რომლებიც ეწვევიან ატლანტის ოკეანის ნაპირზე მდებარე ამ ქალაქს ახალი წლის შესახვედრად.

როდრიგო-დი-ფრეიტასის ტბასთან, რომელიც ქალაქის ლაგოას პრესტიჟულ უბანში მდებარეობს და რიოს „სავიზიტო ბარათად" ითვლება, მომავალი ნაძვის ხის დასამონტაჟებლად უკვე მიიტანეს 11 ბლოკი. თითოეული ბლოკის სიგრძე 12 მეტრს აღწევს, სიგანე კი — 3,4 მეტრს.



მომდევნო ნაბიჯი გახდება ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი და ილუმინაციისათვის განკუთვნილი ექვსი გენერატორის ჩართვა, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 2 ათას კილოვატს აღემატება. მათ მიერ გამომუშავებული ენერგია საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ელექტროენერგიით უზრუნველყონ 300 ბინა.

საახალწლო ნაძვის ხის აწყობისათვის გამიზნული სამუშაოები თვენახევარს გაგრძელდება. გეგმის თანახმად, ნაძვის ხე ახალი წლის დადგომისთანავე აინთება. ამ თითქმის ოცდაათსართულიანი სახლის სიმაღლის კონსტრუქციაზე ერთბაშად 2,5 მილიონი ნათურა აელვარდება.

ვკადრე, – ნაზიმ, მეგობარო,
მწყინს, – ასე ბჭობ შენაც თურმე,
სახელი არ შემიცვლია,
მე სახელი დავიბრუნე



## გულწრფელი წიგნი

მერე, უცებ მომიბრუნდა, – ალბათ რუსულად გირჩევნია დაგწერო? არა-მეთქი, ვუპასუხე. მთელი კრებული თურქულიდან ითარგმნა და აჯობებს წინასიტყვაც თურქულიდან ვთარგმნოთ-მეთქი. კი, ბატონო, მაგრამ შენ თურქულიდან როგორ თარგმნიო. მე ავუხსენი, ვიწვალებ, მაგრამ ლექსიკონისა და მცოდნე ახლობელთა დახმარებით, ამას თავს კარგად გავართმევ. პოეტის მშობლიური ენიდან თარგმანი რომ დაეწერება წიგნს, სხვაგვარად დააფასებენ-მეთქი. – არც ლექსი არ დამიწერია სტამბულ-ქალაქზე, ბათუმზე კი, ჩემო ძვირფასო, ღირდა ლექსიც დამეწერა. შენი ქალაქის კედლებიდან მივიღე მე პირველი გაკვეთილები სოციალიზმისა. მერე, იქიდან, მოსკოვში ჩამოვედი. აქ კომუნისტურ უმაღლესში ვისწავლე. მაშინ რუსულიც შევითვისე. მაიაკოვსკი ცოცხალი იყო. ის დედანში ვიკითხე. აი, მისმა პოეზიამ უფრო მეტი მომცა, ვიდრე მთელმა მარქსისტულმა იდეოლოგიამ.

უცებ, ეს ერთგვარი მაღალფარდოვნებანი მიატოვა. თითქოს რაღაცა უფრო საჭირო რამ გაიხსენა. მომიბრუნდა, თვალებში შემაცქერდა.

– რატომ იცვლით სახელებს აჭარაში? არა, ეს არ უნდა გექნათ! ჩვენ იქ, თურქ გლეხებს ვეუბნებოდით, – აი, ნახეთ, გადაღმა, „აჯარაში“ (წარმოთქვამდა „აჯარას“) რა კარგად ინყობენ „ჩვენები“ (ბიზიმ მილლეთ“) ცხოვრებასო. ახლა, სხვასახელიანები თურქისთვის მისაბაძი მაგალითი როგორღა იქნებითო.

მე ალერსით ვუპასუხე, – კი არ ვიცვლით, სახელებს ვიბრუნებთ-მეთქი (თან, ჩემთვის გავიფიქრე, – პოეტი კია, კომუნისტიც, მაგრამ თურქი მაინც თურქია).

– ხომ არ გვესადილა? – დერეფანში თავისი ექიმი ქალი დაინახა, რაღაც უსიტყვოდ უთხრეს ერთმანეთს, შევნიშნე. შევწუხდი, მომერიდა. როგორ, ნაზიმ ჰიქმეთს სადილზე დავაპატიჟებინო თავი? ეს, სსრკ, ხომ ჩემი სამშობლო უფროა, ვიდრე მისი?

გულს და გონს, ჩუმ-ჩუმად მაინც ნაზიმის ის, წელანდელი მწარე შენიშვნა მიჭვანკავდა. „სახელებს რატომ იცვლით აჭარაშიო“. ეს მომენტი სხვა ტკივილებს აღვიძებდა, უფრო შორეულს, უფრო ღრმას. ამას, იქნებ, მოკლედ და გულის მომფხანელად ლექსით თუ იტყვი.

მართლაც, გვიან დავწერე ეს:

### ნაზიმ ჰიქმეთთან, პერედელკინოში

თოვლიანი ის დღე, – სევდა,
მშვენერი ის დღე, შორი,
ისევ ისე გამითენდა,
იქ, იმ არყის ხეებს შორის.

ჯდა მგოსანი თვის „დაჩაში“,
იქით, ნისლში,
ჩანდა კრემლი.
სხვა წარსულზე
ვკამათობდით,
ის – თურქი და
მე ქართველი.

– სახელებს რად იცვლით, –
მკითხა,
და თვალს თვალით
შევეყარე.

ფიქრებს იქით დავინახე,
ნაწვალები ჩემი მხარე.
ვკადრე, – ნაზიმ, მეგობარო,
მწყინს, – ასე ბჭობ
შენაც თურმე,
სახელი არ შემიცვლია,
მე სახელი დავიბრუნე.

ისევ ქვემო სართულისკენ დავეშვით. პატარა სამზარეულოდან რაღაცა უცნობი სუნი მოდიოდა. ნაზიმმა შეიხედა, მაგრამ აღარ შევიდა. დიასახლისს რუსულად უთხრა, – მოდი, წავიდეთ „ბაქოში“, ა? – უმალვე მივხვდი, რესტორან „ბაქოზე“ იყო ლაპარაკი.

კედლიდან ყურმილი ჩამოხსნა და სადღაც დარეკა. შოფერს დაუძახა.

მოსკოვის ცენტრში, გორკის ქუჩას სასტუმრო „ნაციონალის“ მხრიდან დავადექით. „მოსსოვეტთან“ ნაზიმმა მითხრა, – ვიცი, აქ, მარჯვნით თქვენი „არაგვია“, მაგრამ „ბაქოში“ უფრო თურქულს მოგვართმევენ რაიმეს და მეც ერთგვარი მასპინძლობა გამომივაო. იქვე, ტვერსკოისა და გორკის კუთხეში, „არმენტორგი“ რომ იყო, იმ სახლის სახურავისკენ აიხედა. აი, უკვე აულიათ ის სამარცხვინო ქანდაკებაო, – კმაყოფილმა თქვა. გახსოვთ ალბათ, სახლის წონწოლაზე, კაბაშემოჭერილი გოგო რომ იდგა, საბჭოთა ბედნიერი ყოფის სიმბოლოდ. სამარცხვინოა-მეთქი, ვუთხარი სიმონოვს ერთხელ, ალბათ, კონსტანტინემ, ცეკაში გადასცა და აულიათ კიდეცო.

სტალინის ლანძღვით ნაწყენმა, ვიფიქრე ნაზიმიც გულნატკენი იყო და ვკითხე, – ნაზიმ ეფენდი, როგორ ფიქრობთ, სტალინს ამოშლიან კომუნისტური ისტორიიდან? სწრაფად, უემოციოდ მითხრა, – როცა ჩვენი ათათურქი გარდაიცვალა, მის გამოც ამგვარი ამბები იყო თურქეთშიო. ბოლოს, რაც კარგი ჰქონდა, დარჩა, დაფასდა. ასე იქნება აქაცო.

„ბაქოს“ მოპირდაპირედ მაიაკოვსკის ვეებერთელა ფიგურა ჩანდა გაჩირაღდნებული. ერთ წუთს უცქირა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

სუფრაზე, სხვათა შორის, საუზმის ჩამონათვალებში, ოფიციანტმა გოგონამ, საცივიც ახსენა. მაშინვე გადმომხედა ნაზიმმა, აი, გურჯების კერძიც გავსინჯოთო.

და, აი, იმ „საცივის“ ხსენებამ პოეტს სხვა მოგონებებიც წამოუშალა.

– „ნანინა“ რას ნიშნავს ქართულად? – მკითხა. ჩვილს რომ დედა უმღერებს, აი, იმ სიმღერას ჰქვია-მეთქი. ბებია მყავდა გურჯიო, – მითხრა ნაზიმ ჰიქმეთმა. დედის დედა. მახსოვს, საკმაოდ წამოზრდილს, აკვანში მწოლიარეს, დაძინების წინ, ბებია „ნანას“ მიმღეროდაო. მერე დაუმატა, – მამის მამა კი პოლონელი იყო (აი, საიდან მოსულა ცისფერი თვალები).

საქართველოში, ორმოცდაათიან წლებში, ძალიან მოდაში იყო ჰიქმეთის ლექსებისა და პიესების თარგმნა. საუკეთესო ლექსების გამორჩეული თარგმანები

ფრიდონ ხალვაში

# ომში

დოკუმენტური მოთხრობა



ჰქონდა ვახტანგ კეკელიძეს. უნიჭიერესი ბიჭი იყო. არ ვიცნობდი პირადად, მაგრამ მისი თარგმანებით შემიყვარდა ნაზიმი.

„მე თუ არ დავიწვი,
შენ თუ არ დაიწვი,
ჩვენ თუ არ დავიწვით,
ბნელს ვინ გაანათებს...“

– აი, ახლაც მახსოვს ერთი მგზნებარე ლექსის ბოლო სტროფი (მას კი, მშვენიერ მთარგმნელ ვახტანგ კეკელიძეს თავი მოუკლავს).

რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმიდან კვლავ დამირეკეს. გამომცემლობა შეპირებულ წინასიტყვას მთხოვდა. დარეკვა მომეხათრა. ავდექი და მივადექი პერედელკინოში ნაზიმის სახლს. ისევ ექიმმა ქალმა გამიღო კარი.

– „ახ, დოროგოი ფრიდონ!“ ნაზიმი ვარშავაშია. მობრძანდით. მალე უნდა დამირეკოს და თუ გინდათ, დაელაპარაკეთ.

მეწყინა ძალიან, რომ პოეტი შინ არ დამხვდა. მალე ტელეფონმა მართლაც გაბმული ზარით გვამცნო, რომ შორიდან იყო. ალა ვასილევნამ ჩამოილო ყურმილი და კაიხანს ისაუბრეს. ბოლოს ნაზიმს გადასცა, – შენი ბათუმელი ფრიდონია აქაო. ნაზიმი საოცრად შეწუხებული იყო, როგორ ვერ მოვასწარი წინასიტყვის დაწერაო. მოიბოდიშა და მკითხა რა მისამართზე გამოგიგზავნოო. ამაღამ მთელ ღამეს არ ვიძინებ და დაპირებულ წერილს ხვალ აუცილებლად ავიაფოსტით გამოგიგზავნიო.

ჩავაწერინე გორკის სახელობის ლიტინსტიტუტის მისამართი და მადლობით დავემშვიდობე. ზუსტად ორი დღის შემდეგ, მართლაც, ინსტიტუტში ჩემ სახელზე, ვარშავიდან, ჰიქმეთის წერილი მივიღე. წერილი ჩვენს კრებულში დაიბეჭდა.

ნაზიმ ჰიქმეთი დიდხანს დარჩა პოლონეთში, მე მგონი არამხოლოდ ბაბუასეული ნათესაური ხაზის გამო, არამედ, როგორც მისმა რუსმა მეგობარმა პოეტმებმა ამიხსნეს, მას უკვე ეზიზღებოდა სამოციანი წლების „საბჭოური კომუნიზმი“. პოლონეთი, ამ მხრივ, უფრო მოხათმენ „სოციალისტურად“ მიაჩნდა. ასე რომ, ეტყობოდა, ნაზიმ ჰიქმეთი, თავის კომუნისტურ რომანტიკას, როცა რეალურ საბჭოეთთან პირისპირ აღმოჩნდა, თითქმის ველარაფრით ასაზრდოებდა. ის, ნაოცნებარი, „მშრომელი ხალხის მხსნელის“ ჭეშმარიტი სახე და ბუნება, აქ, მოსკოვში, ველარ იგრძნო.

და, მე მგონია, მოსკოვში, გულგატეხილობა, იმედის და რწმენის შემრჩენელად ექცა. ეს ჭირდა მაიაკოვსკისაც, მაშინ, 1930 წელს, ალბათ. ხოლო ნაზიმი ამიტომაც, თავისი „მოსკოვურ ცხოვრების“ ბოლო ხანებს, უფრო ხშირად, პოლონეთში ატარებდა.

ბოლო-ბოლო, სიკვდილის შემდეგ თავისი დიდი პოეტი თურქეთმაც თავისთან დაიბრუნა. მას აპატიეს თავისი კომუნისტური რომანტიკით გატაცება. იგი, მგონი, თურქულ პოეზიაში ახალი ეპოქის, სტილის და ფორმის დამფუძნებლად აღავლინეს და ყველა სახელმძღვანელოშიც საპატიო ადგილი მიუჩინეს.

30.11.05

წუხელ ტელეფონით ზურაბ გორგილაძე ვეძებე. არც ქალაქისაზე, არც მობილურზე, პასუხი არა და არა. რაღაც არასასიამოვნო ეჭვები შემომეპარა. ავად ხომ არაა? ზოგჯერ, ასე იცის. არავინ შევაწუხოო, მიიმალება. მეორე რამეც მგონია – ზურაბს, ბოლო ხანებში, საშინლად უჭირს. ასლანის განდევნის შემდეგ, მისი დროის აჭარის პარლამენტარებს პენსიები აღარ მისცეს. არა, ასეც არ შეიძლება, მიშა! ეს მართლაც ვერაგობაა. განსაკუთრებით ზურაბის მიმართ. მინდოდა ჩემს საღამოზე მომეწვია. მისი გამოსვლა გამილამაზებდა შეხვედრას.

ახლა, ამ დილით, ზურაბზე ჩაფიქრებამ, ჩემი ზეიმის მოლოდინი დამიმწუხრა და ცოტა უხერხულობის სევდაც შემომაპარა (წუხელ ანა კალანდაძესთან დევრეკე ერთ-ორჯერ. არც ანა არ მივიდა ტელეფონთან. სიბერეს და სიდუხჭირეს ემალება? ისედაც გულნატკენია!

### დიდკაცის კაიკაცობა?

ცივი ყინვიანი მოსკოვური დეკემბრის ღდე იწურებოდა. დერეფნიდან დაიძახეს, – ხალვაში, ტელეფონ! (ტვერსკოიზე ვარ. პუშკინის თეატრის გვერდით, ლიტინსტიტუტის საცხოვრისის ერთ ოთახში). გავედი. შავი, ხოშორი ყურმილი. მშვიდი, დინჯი, ნელა წარმოთქმული, დარბილებული ხმა თბილად მოჟონავს:

– ამხანაგო ფრიდონ, დავითი ვარ, მამულაძე! როგორ ხარ. ხომ არაფერი გიჭირს?

შევკრთი, არ მოველოდი, თუ მოსკოვში, მე, სტუდენტს, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი პირი მომნახავდა.

– არა, არ მიჭირს, დავით მიხაილოვიჩ! დიდი მადლობა, რომ მომიკითხეთ. ხომ არაფერში ვარ საჭირო?

– ააარა. ააარაფერი ისეთი... თუ დრო გაქვს, მოდი ჩემთან, სასტუმრო „მოსკვაში“, ორას მეთორმეტე ნომერში... შეგიძლია?..

– კი, მოვალ, ახლავე, პატივცემულო.

ჩავიცვი. გარეთ გავვარდი. სიცივიდან დიდ სითბოში შესვლა სასიამოვნოა. მაგრამ ამაზე უფრო დიდი ბედნიერებაა ადამიანური გულის სითბოში შესვლა. დავით მამულაძე ყურადღებიანი თვალების ფახურით და ძალიან წრფელი მშობლიური ღიმილით შემეგება.

დავითს სავახშმოდ წინასწარ შეეკვეთა რაღაც მსუბუქი რუსული „ზაკუსკები“. – ჩაისაც მოგვიტანენო, – თქვა და მიმითითა მაგიდას მივჯდომოდი.

მისი ბიოგრაფიიდან ვიცოდი, რომ იყო ხულოს ბანკის მმართველი, ალმასკომის თავმჯდომარე და აჭარის მინსაბჭოს ხელმძღვანელი. ახლა კი, ბოლოს სტალინის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა ისტორიაში პირველად მოხდა, როცა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აჭარელი დააყენეს (უნდა ითქვას, რომ დავით მამულაძეს თითქოს გვარშივე ჰქონდა ჩატანებული მამულიშვილობა. ისედაც, ის ხომ მე-12 საუკუნის (რუსთაველის ეპოქის) უდიდესი ქართველი ასტრონომისა და მწერლის აბუსერისძე ტბელის თანასოფლელია.

(გაგრძელება იქნება)


გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-194.



№ 195. ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 32-85-76; 99-66-87

№ 195. ოთხშაბათი. 10 ოქტომბერი. 2007 წელი.

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

| | ობიექტის დასახელება მისამართი | შენობა-ნაგებობის დახასიათება | ფართი კვ.მ | მიწა წილობრივად კვ.მ (საერთო სარგებლობაში) | საწყისი ფასი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | ბიჯი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | „ბე" აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | საიჯარო ქირა | მონაწილის ბილეთის სიდიდე ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძველი თბილისის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ. № 26/18 | შენობის სარდაფი | 78,75 | | 25000 | 1000 | 4000 | | 50 |
| 2 | ძველი თბილისის რაიონი, დიდხევის დაღმართი № 1/2-ში (ლიტერ „ა") | 1 სართულიანი შენობის სარდაფი | 91,50 | | 73000 | 2000 | 7500 | | 50 |
| 3 | გარდაბნის რაიონი, სოფელი ფონიჭალა, სოფლის გამგეობის შენობის მე–2 სართული | II სართულიანი შენობის მე–2 სართული | 79,83 | | 15000 | 1000 | 3000 | | 50 |
| 4 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ანდრონიკაშვილის I შესახვევი № 66-ში (ყოფილი ულიანოვის I შესახვევი № 66) მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ცალკე მდგომი შენობა | ცალკე მდგომი შენობა შენობა-ნაგებობა №1 | 27,43 | 43 | 5000 | 300 | 800 | | 50 |
| 5 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ანდრონიკაშვილის I შესახვევი № 66-ში (ყოფილი ულიანოვის I შესახვევი № 66) მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ცალკე მდგომი შენობა | ცალკე მდგომი შენობა შენობა-ნაგებობა №1 | 42,77 | 56 | 7000 | 500 | 1000 | | 50 |
| 6 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თორნიკე ერისთავის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ცალკე მდგომი შენობა | ცალკე მდგომი შენობა შენობა-ნაგებობა №1 | 175,12 | 300 | 60000 | 2000 | 6000 | | 50 |
| 7 | დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩაზე ქარხანა „მიონთან" მდებარე ხადისპეტჩეროს პუნქტის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ცალკე მდგომი შენობა | ცალკე მდგომი შენობა შენობა-ნაგებობა №1, №2, №3, და №4 საზაფხულო ფართი | 29,19 | 200 | 35000 | 1000 | 4000 | | 50 |

**შენიშვნა:** უძრავი ძეგლის მესაკუთრე უფლებამოსილია: უძრავი ძეგლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტროსთან გააფორმოს დაცვითი ხელშეკრულება, ამ ძეგლის დაცვითი რეჟიმის მითითებით. (შენიშვნა გასათვალისწინებელია ლოტი №1-სთვის)

**შენიშვნა:** შენობა გაცემულია 2006 წლის 8 ივნისიდან იჯარის უფლებით 5 წლის ვადით (შენიშვნა გასათვალისწინებელია ლოტი №6-სთვის)

**შენიშვნა:** შენობა გაცემულია 2006 წლის 7 ივნისიდან იჯარის უფლებით 5 წლის ვადით (შენიშვნა გასათვალისწინებელია ლოტი № 7-სთვის)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11=06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 3 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 2 ნოემბერს 16:30 საათზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-4 სართული, ტელ: 93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 3 ოქტომბრის № 135 (534)-ში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | ბალანს მფლობელი ორგანიზაცია | ავტომობილის მარკა სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე“ აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | გაზ-322130 სახ.№SOS-142 | 1997 | 800 | 50 | 240 |
| 2 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-3106 სახ.№WAW-133 | 1996 | 375 | 50 | 115 |
| 3 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2107 სახ.№SOS-056 | 1991 | 600 | 50 | 180 |
| 4 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ნისანი სახ.№YYY-136 | 1990 | 550 | 50 | 165 |
| 5 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | რენო-9 სახ.№PAL-321 | 1997 | 450 | 50 | 140 |
| 6 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21093 სახ. №POL-368 | 1995 | 450 | 50 | 140 |
| 7 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | კია-კლარუსი სახ. № VIP-088 | 1997 | 950 | 50 | 300 |
| 8 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2106 სახ. № QIO-696 | 1995 | 375 | 50 | 115 |
| 9 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | გაზ-31029 სახ. № SOS-004 | 1995 | 775 | 50 | 230 |
| 10 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | რენო-9 სახ. № PAL-149 | 1997 | 550 | 50 | 165 |
| 11 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | რენო-19 სახ. № POL-040 | 1998 | 750 | 50 | 225 |
| 12 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | კია-კლარუსი სახ. № POL-016 | 1998 | 825 | 50 | 250 |
| 13 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო | გაზ-3102 სახ. № LLK-442 | 1996 | 375 | 50 | 120 |
| 14 | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო | ვოლვო-850 სახ. № LIL-425 | 1997 | 1100 | 100 | 330 |
| 15 | შპს „საქწიგნის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ავტოტრანსპორტი | გაზ-53-12-01 სახ. № ADE-469 | 1989 | 500 | 50 | 150 |

შენიშვნა: მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრა 10 ლარის ოდენობით

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 8 ოქტომბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 7 ნოემბერს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 3 ოქტომბრის №35 (534)-ში.

№ 195. ოთხშაბათი. 10 ოქტომბერი. 2007 წელი.

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ

1. ქ.თბილისის №147 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 6 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 150 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 400 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით. (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი).

2. ქ.თბილისის №142 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 3,510 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 150 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით. (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, თემქის დასახ. III მკრ. II კვ.).

3. ქ.თბილისის №43 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული თუნუქის სავარაუდო წონაა 3 ტონა. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 90 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა თუნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 100 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 24,08 ტ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 150 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტ. შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 1200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 3,8 ტ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 150 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტ. შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.(ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, ალ ყაზბეგის გამზ. № 12.).

6. საქართველოს კონტროლის პალატის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 0,28 ტ. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 150 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტ. შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით..(ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, ქ წამებულის გამზ. №96.).

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 10 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 9 ნოემბერს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 3 ოქტომბრის №35 (534)-ში.

● ახალქალაქელ ფერმერთა ეფექტიან გაერთიანებას მნიშვნელობა არა მარტო მათთვის, არამედ მთლიანად სამცხე-ჯავახეთისთვის აქვს, რადგან ისინი, უმეტესად, კარტოფილის ელიტური ჯიშების სათესლე მასალას აწარმოებენ



◎ ძველი ახალი

# განა „აბორიგენი" მართლა „უცხოელ სტუმარს" ვერ აჯობებს?

არასოდეს გექნება საკმარისი ცოდნა, თუ არ ისწავლე იმაზე მეტი, რაც საკმარისია, — მე-19 საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტისა და მხატვრის უილიამ ბლეიკის ამ ცნობილი ხატოვანი გამონათქვამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერასოდეს ვიქნებით საკმარისად შეძლებული, თუკი ვერ შევძელით საკმარისზე მეტის გაკეთება.

„საკმარისზე მეტის გაკეთებაზე" რომ ვლაპარაკობ, ვგულისხმობ, რომ თანამედროვე პირობებში, ცალკეული შინამეურნეობის ძალისხმევა, საკმარისზე მეტ შემთხვევაში, რამდენადმე მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა საკმაოდ ძნელია. მოღვაწეობის ერთი პროფილის ხალხის რაღაც ფორმით გაერთიანება მოწესრიგებული, გააზრებული მეურნეობის წარმართვის პირობებით, ეკონომიკური წარმოების ნებისმიერი წესის პირობებში, თითოეული ინდივიდისთვის, გაწეული შრომისა და ხარჯის გათვალისწინებით გაცილებით მომგებიანია, ვიდრე ერთი კაცისა, თუნდაც ერთი ოჯახისა. მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, არა ერთი ოჯახის მფლობელობაში არსებული ფაბრიკა-ქარხნები, მსხვილი ფერმები ან მთელი დარგების მნიშვნელოვანი სეგმენტები, არამედ წვრილი მეურნეობები. მხედველობაში მაქვს, კერძოდ, სოფლის ოჯახური მეურნეობები.

ზოგადად რომ ვთქვათ, მთაში ცხოვრება, უწინარესად, გეოგრაფიული პირობების გამო, ბარში ცხოვრებასთან შედარებით უფრო მძიმეა, ვინაიდან ერთნაირად გაწეული შრომის პირობებში ნებისმიერი მატერიალური უკუგება აქ გაცილებით ნაკლებია. არადა, საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტამდე მთას უკავია. ერთი ასეთი მხარე სამცხე-ჯავახეთია, რომლის მოსახლეობა, მკაცრი კლიმატური პირობების გამო, უმეტესად, მეკარტოფილეობა-მებოსტნეობას, მეცხოველეობას მისდევს. აქაური კარტოფილი, სოფლის მეურნეობის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტი, საყოველთაოდაა განთქმული, მაგრამ აქაურებს მის მოსაყვანად ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდებათ. 2002 წლიდან სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთ, კერძოდ, ასპინძის რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით (IFAD) თითქოს დაიწყეს სიღარიბის დაძლევის გახმაურებული პროგრამის ერთი ნაწილის განხორციელება, რომელიც, კერძოდ, მეკარტოფილეობას ეხებოდა, მაგრამ, როგორც ეს, სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, საქმე „სარეკლამო სტადიას" დიდად ვერ გასცდა. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მხარის მცხოვრებლებმა, ყოველ შემთხვევაში გარკვეულმა ნაწილმა, საკუთარი შრომითი, ქონებრივი და ფინანსური რესურსების კოოპერირება გადაწყვიტა და მოსავალზე ზრუნვა ერთობლივი ძალით დაიწყო.

ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოს ექვსი ოჯახი, რომელიც მეკარტოფილეობას მისდევს, შარშან ზაფხულში გაერთიანდა, რის შედეგად წლეულს პირველ მოსავალსაც ერთობლივად იღებენ. გაერთიანებული ოჯახები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც ერთობლივად ქირაობენ, მიწასაც ერთად ამუშავებენ და, შესაბამისად, მოსავლის გაყიდვით შემოსულ თანხებსაც თანაბრად იყოფენ. როგორც თავად გაკოოპერატივებული ფერმერები ამბობენ, ძალების გაერთიანებით მათ მხოლოდ მოიგეს, რადგან გაიზარდა როგორც მოსავლიანობა, ასევე მოგება, ხოლო შრომა, ტრანსპორტირება და პროდუქციის რეალიზება ბევრად გაუადვილდათ.



როგორც ჩანს, ძველი, საბჭოური წარმოების წესებიდან ხელაღებით გადასაგდები და დასანგრევი ყველაფერი როდი ყოფილა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ახალქალაქელ ფერმერთა შრომა გაცილებით ეფექტიანი საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსიქორის" მიერ გამოყოფილი 25 ათასი ლარის დახმარების წყალობით გახდა, რამაც მათ საჭირო ტექნიკის შეღავათიანად დაქირავების საშუალება მისცა, ხოლო რამდენიმე ჯიშის სათესლე მასალა კი ჰოლანდიიდან სულაც უფასოდ მიიღეს.

ახალქალაქელ ფერმერთა ეფექტიან გაერთიანებას მნიშვნელობა არა მარტო მათთვის, არამედ მთლიანად სამცხე-ჯავახეთისთვის აქვს, რადგან ისინი, უმეტესად, კარტოფილის ელიტური ჯიშების სათესლე მასალას აწარმოებენ.

ეს იმიტომ, რომ თუმცა ამ მხარის კარტოფილი მთელ საქართველოში და მოსაზღვრე რეგიონებშიცაა განთქმული, ამ მიმართულებით არასაკმარისი მუშაობის გამო, ადგილობრივი მასალა თანდათანობით კარგავს საუკეთესო თვისებებს. ამას კი, ეჭვგარეშეა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება. აბა, წარმოიდგინეთ, თუკი უცხოეთიდან შემოტანილი სათესლე მასალით ერთ ჰექტარზე დათესილი სამი ტონა მასალით საშუალოდ 40 ტონა კარტოფილის მოყვანა შეიძლება, სათანადო სასელექციო და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარების შემდეგ განა „აბორიგენი" მასალა „უცხოელ სტუმარს" უხვმოსავლიანობაში ვერ აჯობებს?

საგულისხმოა ასევე ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი: გაერთიანების თითოეულ წევრზე შარშანდელთან შედარებით, ორჯერ მეტი მოსავალი მოვიდა, პრობლემა არც გასაღებაა — სათესლე მასალას ადგილობრივი ფერმერები ყიდულობენ, ძირითადი პროდუქცია კი მხარის გარეთ საღდება-მიღებული მოგების ხარჯზე, რაც, სავარაუდოდ, 40 პროცენტის ფარგლებში იქნება, გაერთიანების წევრები წლეულს დამუშავებულ ათ ჰექტარს მომავალ სეზონში კიდევ ათს მიუმატებენ, რაც გაერთიანებას კიდევ უფრო გააძლიერებს. თანაც ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ ფერმერები პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებით არავითარ საფრთხეს არ ხედავენ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ როგორი დიდი მოსავალიც უნდა მიიღონ, ისინი პროდუქციას მთლიანად გაასაღებენ.

კარგი მაგალითი ყოველთვის სწრაფი მისაბაძი ხდება, ამდენად არც არის გასაკვირი, რომ „მეკარტოფილეობის" პირველ მერცხალს მხარეში მალე კიდევ ოთხი ასეთი გაერთიანება მოჰყვება, რადგან პრაქტიკამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ძველი სიბრძნე, რომ ძალა მართლაც ერთობაშია.

ერთი კია: ვფიქრობ ეჭვი არ არის, რომ ფერმერებს, უწინარესად, უცხოური ორგანიზაციები კი არა, ადგილობრივი ხელისუფლება და საფინანსო ინსტიტუტები უნდა დაეხმარონ.

ოთარ ტურაბელიძე


## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | ბალანს მფლობელი ორგანიზაცია | ავტომობილის მარკა სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე" აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1(21) | თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დარამატული თეატრი | კუბანი GIA სახ. № ACS-119 | 1989 | 500 | 50 | 150 |
| 2(25) | შპს „საქწიგნის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ავტოტრანსპორტი | კუბანი Г/Л1-02 სახ. № ACF-556 | 1989 | 400 | 50 | 120 |
| 3(27) | შპს „საქწიგნის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ავტოტრანსპორტი | კუბანი სახ. № ACF-068 | 1988 | 400 | 50 | 120 |

შენიშვნა: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პრივატიზების პროცესი გაგრძელებულია 27.09.07წ.-დან 27.09.08წ.-მდე

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 3 ოქტომბრის №35 (534)-ში.



## ინფორმაცია

ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 24.09.07წ. №1-3/151 ბრძანების საფუძველზე შეწყდეს პრივატიზების პროცესი გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანის დასახ. IVა მკრ. კორპ. №8-ში მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში განთავსებულ არასაცხოვრებელ ფართზე (153,82 კვ.მეტრი).

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 3 ოქტომბრის №35 (534)-ში.

სამმართველოს უფროსი
კ.იოსელიანი

● რომელი სპორტული პროექტი მიიყვანა ბოლომდე პატარკაციშვილმაო? — დასვა კითხვა კოლეგათა წინაშე პარლამენტარმა ვახტანგ ბალავაძემ. უმადურობა თუ გინდა, სწორედ ეს არის — განა ვინმესთვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ უცნობია, რამდენი მილიონი გაილო საკუთარი ჯიბიდან „ულვაშამ“ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ?

◎ სიტუაცია

## ნონა გაფრინდაშვილი: შექმნილი ვითარება ძალადობის შესანიშნავი ნიმუშია

**პატარკაციშვილს უფლებამოსილება შეუჩერეს, ის კი თბილისში დაბრუნდა**



ირაკლი ოქრუაშვილის სენსაციურ აღიარებასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ ცნობილი ბიზნესმენის, სეოკის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის საწინააღმდეგო ტალღა ააგორა. გუშინ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომაზე პატარკაციშვილს უფლებამოსილება შეუჩერეს.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ „ქართული სპორტის სათავეში უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც, პირველ რიგში, ქართული სპორტის ბედი აღელვებს. ოლიმპიური კომიტეტის სათავეში კი არ შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების დისკრედიტაციას ახდენს“.

კითხვაზე, აქვს თუ არა ბადრი პატარკაციშვილს დამსახურება ქართული სპორტის წინაშე, მინისტრმა უპასუხა, რომ სპორტისთვის ძალიან ბევრმა ადამიანმა ძალიან ბევრი გააკეთა.

ბადრი პატარკაციშვილის იმპიჩმენტს გამოეხმაურნენ ოლიმპიური ჩემპიონები — რობერტ შავლაყაძე და რაფაელ ჩიმიშკიანი, რომლებიც ავადმყოფობის გამო სეოკის ალმასკომის სხდომას არ დასწრებიან. „პატარკაციშვილისადმი მადლობის მეტი რა მეთქმის. სპორტსმენებს ეხმარება. მათთვის დიდ ფულს ხარჯავს“, — აღნიშნა შავლაყაძემ. „რატომ უნდა მოხდეს მისი გადარჩევა, როცა პატარკაციშვილს სპორტისთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. სპორტის პოლიტიკაში არევა არ შეიძლება“, — ასეთია ჩიმიშკიანის აზრი.

ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა, სეოკის საპატიო პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა კი პროტესტის ნიშნად ალმასკომის სხდომა დატოვა. „შექმნილი ვითარება ზეწოლისა და ძალადობის შესანიშნავი ნიმუშია. მე დავაფიქსირე ჩემი უარყოფითი პოზიცია ბადრი პატარკაციშვილის გადაყენებასთან დაკავშირებით და რიგგარეშე სესიას, რომელიც 29 ოქტომბრისთვის იგეგმება, არ დავესწრები“, — განაცხადა ქალბატონმა ნონამ ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ლონდონში მყოფმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა სააგენტო „ინტერფაქსთან“ საუბრისას განაცხადა, რომ რამდენიმე საათში თბილისში დაბრუნებას აპირებს. „მე არსად გავქცეულვარ და ამის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია წმინდა წყლის პროვოკაციაა. ამ ჭორებს კონკრეტული ხალხი გააზრებულად ავრცელებს, თუმცა დიდი იმედი ნუ ექნებათ. მე არსად გავიქცევი“, — თქვა პატარკაციშვილმა.

გუშინ ბადრი პატარკაციშვილი თბილისში დაბრუნდა.

როგორ განვითარდება მოვლენები, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

**ვაჟა დანელია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ გაუტიეს!..

## უმადურობა, თანაც ასეთი?!

*ძლევამოსილი „ნაციონალური მოძრაობის“ რისხვა ბადრი პატარკაციშვილსაც დაატყდა თავს. მის კომერციულ მოღვაწეობაზე საუბარი ჩვენი პრეროგატივა არაა, ამიტომ მკითხველს მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავკაცის მეცენატობას შევახსენებთ.*

*რომელი სპორტული პროექტი მიიყვანა ბოლომდე პატარკაციშვილმაო? — დასვა კითხვა კოლეგათა წინაშე პარლამენტარმა ვახტანგ ბალავაძემ (აფსუს, რა სახელი და გვარი ამკობს ამ პირტიტველა დეპუტატს!). უმადურობა თუ გინდა, სწორედ ეს არის — განა ვინმესთვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ უცნობია, რამდენი მილიონი გაილო საკუთარი ჯიბიდან „ულვაშამ“ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ? ამჯერად ეს ვიკმაროთ. დანარჩენს, ვიმედოვნებთ, სპორტული სამყარო იტყვის.*

**გია პლატონიშვილი**

№ 195. ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 2007 წელი.

◎ წარდგინება

## ფირი ნაპოვნია!



როგორც სტაჟიან გულშემატკივრებს ახსოვთ, 1965 წელს მოსკოვში გამართულ ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობის პატივი ხუთ ჩვენს თანამემამულეს (მესხი, მეტრეველი, ბარქაია, გ. სიჭინავა, კავაზაშვილი) ხვდა წილად. ორიოდე თვის წინათ ნაყოფიერად მოღვაწე სპორტულმა პუბლიცისტმა, ისტორიული შეხვედრის უშუალო თვითმხილველმა დემიკო ლოლაძემ აღნიშნულ მოვლენას უხვად ილუსტრირებული გამოცემა უძღვნა, ხოლო ამ დღეებში პროფესიული ფეხბურთის ლიგაში მიგვიწვია, სადაც მოსკოვური მატჩის 40-წუთიანი ვიზუალური ვერსია შემოგვთავაზა (ტექსტს ნიკოლოზ ოზეროვი კითხულობს).



მაინც, ვის უნდა ვუმადლოდეთ მრავლისმეტყველი კინოფირის მოპოვებას? — დაგაინტერესებთ ალბათ. სიამოვნებით გაუწყებთ, რომ საშვილიშვილო საქმეში წილი ჟურნალისტმა გოგი ფრანგიშვილმა და პროფესორმა ელგუჯა გუგუშვილმა დაიდეს. მადლობა მათ!

**გია პლატონიშვილი**

მინაწერი: პრეზენტაციაზე საინფორმაციო საშუალებები რამდენიმე დღის განმავლობაში გვეპატიჟებოდნენ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — პფლ ოფისში მხოლოდ ორიოდე ტელეკომპანიის წარმომადგენელი მიბრძანდა, კალმოსანმა ჟურნალისტებმა კი, რატომღაც, ბოიკოტი გამოაცხადეს. საწუხარ არს ესე!

◎ „ფორმულა-1“

## სამი უცნობი

„ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინიშამდე 1 ეტაპია დარჩენილი, ჩემპიონობის შანსი კი ერთბაშად სამ პილოტს გააჩნია — გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ლუის ჰემილტონს — 107 ქულა, ორგზის გვირგვინოსანს ფერნანდო ალონსოს — 103 ქულა და ჩინეთის „გრან-პრის“ მფლობელს კიმი რაიკონენს — 100 ქულა. დასკვნითი რბოლა 21 ოქტომბერს ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს „ინტერლაგოსის“ ტრასაზე გაიმართება.

რაც შეეხება ჩინეთში განვითარებულ მოვლენებს, სეზონის ბრიტანელი აღმოჩენა ჰემილტონი გამარჯვების შემთხვევაში კონკურენტთათვის მიუწვდომელი გახდებოდა და ვადამდე მოიპოვებდა ტიტულს. ასეთი დასასრულის ალბათობა კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ამ ამბიციურმა დებიუტანტმა წინა დღით საკვალიფიკაციო ტესტები მოიგო, თუმცა დისტანციაზე მას დიდი იმედგაცრუება ელოდა — ბოლიდის ტექნიკური გაუმართაობის გამო „მაკლარენმა“ ფინიშამდე ვერ მიაღწია.



◎ კალათბურთი

## რუსების „დუბლი“

ახლახან ესპანეთში გამართული ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში რუსებმა სენსაციური მარცხი აგემეს მასპინძლებს. ბედის ირონიით, ამ ქვეყნების ნაკრებებმა იტალიაშიც იყოჩაღეს და კონტინენტის ქალთა პირველობის გადამწყვეტ შეხვედრაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

როგორც მოსალოდნელი იყო, სარბიელზე უკიდურესად მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა,  საც ფორტუნამ ჩრდილოელებს გაუღიმა — 72:68. მათ წარმატებაში სოლიდური წვლილი „ძველმა გვარდიამ“ შეიტანა — სტეპანოვა, კორსტინი და რახმატულინა, უკვე მერამდენედ, პარტნიორთა შორის გამორჩეულნი იყვნენ.

რაც შეეხება ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ ჩეხეთის გუნდს, იგი ვეტერანებმა დაალალატეს და საპატიო კვარცხლბეკს მიღმა დარჩა.

№ 195. ოთხშაბათი. 10 ოქტომბერი. 2007 წელი.

● ტიროდა ჩემი სამოცდათექვსმეტი წლის „მამობილი"... ვერის უბანში, სათაყვანებელ თბილისში, ტიროდა კაცი, რომელსაც იჭერდნენ იმის გამო, რომ საკუთარ სამსახურში, „სამშობლოში" შესვლა სურდა. ტიროდა „სამშობლოგაყიდული" კაცი



გურამ (კოია) გომართელი გაყიდული „სამშობლოს" წინ.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

◎ „სამშობლოგაყიდულის" ჩანაწერები

# კოიას აპატიმრებდნენ

ᲣᲗᲔᲜᲘᲐ რეკავს მობილური. ზარით ვიცანი – გურამ გომართელის (ჩემი და თბილისელებისათვის კოია გომართელის) შესახმიანებელი ზარი ჩემს მობილურში განსხვავებულად „გალობს".

– გისმენ, გიორგევიჩ! – ვერა და ვერ მოვიშალე ეს „იჩი".

– რას მისმენ, ბიჭო, მიჭერენ, დროზე გამოდი ვერაზე, შენს ოთახს ვყარაულობ!

მეცინება, ჩემი უფროსი მეგობარი და კოლეგა, ჩემი „მამობილი" ყოველ დილით თავისი ჩვეული იუმორით მეხმიანება. ასე იწყება ჩვენი თბილისური დილა. უფრო ადრე, სანამ მე დამირეკავს, მადლობას სწირავს უფალს – გმადლობთ, რომ დილა გამითენეო, – ასეა ღამითაც – მადლობთ, უფალო, კიდევ ერთი დღე, რომ მაჩუქეო.

ჰოდა, მეც მეცინება, ჩვეულებრივი ლამაზი დღის გათენება მომილოცამეთქი, თავისი იუმორით.

– ემაც წამს, მანდა ვარ – თბილისურად ვპასუხობ და ტელეფონს ვთიშავ.

„მტრისას და ავისას" – იმერლები, რომ იტყვიან, ზუსტად ისეთი სიტუაცია დამხვდა ჩვენი გამომცემლობის წინ, რაღაც „მაზალო" ფორმებში გამოწყობილი პოლიციელების ორმაგი ჯაჭვი ტროტუარის გარშემო და შენობის ირგვლივ. სახელდახელოდ, თუ წინასწარგამზადებული რკინის გისოსებით, უამრავი ჩემი ნაცნობ-მეგობრებითა და ვერელებით, რომლებიც ყოველთვის ჩვენი გულშემატკივრები იყვნენ და არიან დღესაც. მოკლედ, გამომცემლობა „სამშობლო" „დააპატიმრეს".

ჩემს კოიას ვეძებ, ჩემს გურამ გომართელს, ამ წუთში ვერავის ველარა ვცნობ, რადგან მისი დილაუთენია შეხმიანება ნაღდი სიმართლეა და არა მისი ჩვეული თბილისური „შაყირი". იქვე დგას გურამ გოგიაშვილი, ჩვენი შესანიშნავი ჟურნალისტი და მწერალი, ჩვენი შპს დირექტორი და ბერმუხა, ბობოქრობს, პოლიციელებს ეკამათება, მშობლიურ რედაქციაში შესვლას ცდილობს, მაგრამ რაიხსტაგის შენობაში შესვლა უფრო იოლი იყო, თითქმის სამოცი წლის წინათ, ვიდრე ჩვენს საკუთარ სახლად ქცეულ ჟურნალისტთა ტაძარში. ირგვლივ ყველა ჩვენიანია – ზოგი ნამტირალევი, ზოგიც ცრემლმორეული, უმეტესობა გაოგნებული, ყველა დამცირებული და სულში ჩაფურთხებული, გარდა თეჯირსმილმა და გამოლმა მდგომი პირტიტველა პოლიციელებისა, რომლებიც აზრზე არ არიან ჯერ „რასა იქმან" და რას უმზადებს მათ ისტორიის ბედის მწერალი (ღმერთო, შეუნდე ყველას, ვინც ჩინ-მედლებსა და სამხრეებზე ვარსკვლავებმონატრებული საკუთარ მშობლებსაც კი გაჰყიდის, ვეძებ ჩემს გურამს და დავინახე კიდეც... აქ არის ყველაზე მეტად დამცირებული, (ყველაზე მეტად-მეთქი) რადგან, მისმა ბავშვობამ, ყმაწვილკაცობამ, ხანშიშესულობამ ხომ ამ უბანში გაითბილისა, აქ ვერისუბანში გაიარა მისმა კაცურკაცობის სამოცდათექვსმეტმა წელმა და... საკუთარ შენობაში არ უშვებენ.

ბიძაჩემო, იქით გაიწი, ხალხს ტროტუარზე უნდა გავლა და ხელს ნუ უშლიო – ეუბნებიან.

ეუბნება და ვინ? იარაღასხმული და ამით გათამამებული, ვითომდა წესრიგისდამცველები, რომლებმაც (თავის საძმოსთან ერთად) თავად გადაკეტეს ტროტუარიცა და გზაც, რათა ჟურნალისტები არ შეეუშვან იმ შენობაში, საიდანაც სიმართლეს მოსმენა-წაკითხვა აჟრჟოლებთ, აშინებთ და ზაფრავთ მავანთ.

– თუ არ გაიწევით, ხელბორკილებს დაგადებთ და იცით სადაც წაგიყვანთო! (ხელბორკილ-იარაღასხმულებს თავი ისე მოაქვთ როგორც ყოვლისშემძლეებს).

– თქვენ, იცით ვის ელაპარაკებით და ემუქრებით? ეს გურამ გომართელია! – მესმის ჩვენი უმცროსი დაიკოს, პოეზიასთან ფიცვერცხლნაჭამი, რუსუდან თოდუას ხმა.

ისინი არავის იცნობენ, მათ არავინ აინტერესებთ. ისინი ბრძანებას ასრულებენ, ბრძანებას იმ ადამიანისას, რომელსაც ყველაფრის გაყიდვა სურს, ყველას გაბითურება და დამცირება, ყოველგვარი ქართულის ჩაკვლა.

– წადით, გიორგევიჩ!

გურამ გოგიაშვილი კვლავ ბობოქრობს, ქუჩის გადაკეტვას და ხალხის აყოლიებას ცდილობს, ცრემლმორეულს ვხედავ ჩემს ვილენ მარდალეიშვილს, ლაშა ნადარეიშვილი, უკვე ნაბრძოლგულმოკლული, საავადმყოფოდან დაბრუნებული (ყველაზე ადრე იგი შეება „მანქურთებს") ფითრგადაკრული დგას და ბოლმისგან კბილებს აჭრიალებს, „დავცხოთ ამათი დედა ვატირე" – ყვირის ჩვენი ბექა ბალარჯიშვილი, რისთვის და ვისთვის ომგამოვლილი და უკვე სამაჩაბლო-აფხაზეთის შემდეგ მერამდენედ სულშიჩაფურთხებულ-მოტყუებული.

ვდგევართ.

ჩვენ მათ ვუსწორებთ თვალს...

ისინიც... სხვათა შორის.

მათ არაფრისა რცხვენიათ...

– წავედით, გიორგევიჩ! – ისევ ვეუბნები.

პირველად ვხედავ, როგორ უცახცახებს სხეული. არასოდეს ასეთი არ მინახავს. უკვე მეც ნერვებმა მიმტყუნეს, მინდა პირველივე უსიცოცხლო სახიან, უნამუსო, უჯიშო ვანდალს ვწვდე ყელში და... – წამო, შვილო! ამათი დროც მოვა! – თითქოს იგუმანაო მათი არ[illegible]რჯულებულობა ჩემმა კოიამ.

ათიოდე მეტრის მოშორებით, ბელინსკის კუთხეში გამიყვანა. მოზუმზუმე გამომცემლობა ხელის გაწვდენაზეა, ზემოთ კი ჩემი კოიას ბავშვობა ჩაბუდებულა ხეთა ფოთლებში, შ[illegible]თიანი, ომისდროინდელი, გაჭირვებული, მაგრამ გამტანი ხალხით გაზავებული, იმედიანი.

თავის მშობლიურ უბანს აჰყურებს, იქიდან ელის იმედსა და დახმარებას. პარასკევი დღეა.

– წამო შვილო, რა წითელი პარასკევი გაგვითენეს ამათი დედა... და პირველად ვნახე გურამ გომართელის თვალებზე ცრემლი, პირველად ვნახე ატირებული კოია გომართელი.

ტიროდა ჩემი სამოცდათექვსმეტი წლის „მამობილი"... ვერის უბანში, სათაყვანებელ თბილისში, ტიროდა კაცი, რომელსაც იჭერდნენ იმის გამო, რომ საკუთარ სამსახურში, „სამშობლოში" შესვლა სურდა. ტიროდა „სამშობლოგაყიდული" კაცი.

# ვაი, ჩვენს პატრონს!

ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ და ემატება ხალხი ჩვენს შენობას, უფრო სწორად ვერის უბანს. მათემატიკური პროგრესით მატულობს მომხრე და „წესრიგის დამცველთა" რაოდენობა. – ჯანსული მოდის, მამუკა – მეუბნება გურამ გომართელი.

ფერი არა აქვს ჯანსულ ჩარკვიანს, სულ ახლახან ნაავადმყოფარი, საავადმყოფოდან გამოსული ყველას ასწრებს ჩვენს გვერდში დადგომას და გამხნევებას. სცნობენ, მაგრამ შენობაში მასაც არ უშვებენ. თავისი ომახიანი ხმით შეუტევს, მაგრამ... მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, რომ იტყვიან ისაა... გაქვავებული სახეებით ხვდებიან მასაც.

– სულ დაკარგეთ სინდისი, ხალხნო, რას აკეთებთ, ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარაო...

შენც არ მომიკვდე...

სომხურენოვანი გაზეთის რედაქტორი, პარლამენტარი ვან ბაიბურთი თამამად მიდის შენობისკენ. „მანქურთების კორდონი" იწევა და ვანს მოწიწებით უშვებენ შენობაში. ერთი წამით ჩერდება, ჩვენსკენ იხედება და...

– ვა, ჩარკვიან, როგორ ხარ? – ისეთი ინტონაციით წარმოთქვამს ბატონი ჯანსულის გვარს, თითქოსდა თავისი ჯიშისა იყოს.

– ვან, რა ხდება? – ალალად პასუხობს ჯანსული, – როგორ გაგიშვეს?

– მე ხომ პარლამენტარი ვარ, ტო? – ელიმება ვანს.

– ვაი, ჩვენს პატრონს? – ხელს ჩაიქნევს ჯანსული (მეორე დღესვე ვიგებთ, რომ ჩვენს დარბევას და „სამშობლოდან" გამოძევებას, თურმე ვან ბაიბურთის ვაჟი გრიშკა ბაიბურთი ხელმძღვანელობდა. მართლა ვაი ჩვენს პატრონს!).

– კოია, სად არის? – მეკითხება ჯანსული.

– იქაა, – ხელს ვიშვერ ბელინსკის კუთხისკენ, – ტირის.

– ამათი დედა... – შეიკურთხებს ჯანსული და უცებ ტელეჟურნალისტების ალყაში ექცევა.

ყველას სურს პოეტის აზრი გაიგოს. არადა რაღა სათქმელი აქვს პოეტს „უძაღლო" ძაღლადქცეულ ქვეყანაში. აჭრელებულია მიკროფონები ათასნაირი ლოგოებით, – ბატონო, ჯანსულ! ბატონო ჯანსულ! – ეკითხებიან პატარა გოგონები, ჩვენი კოლეგები და სურთ გაიგონ, რას იტყვის ბატონი ჯანსული.

რა უნდა თქვას.

არ იცის ჯანსულ ჩარკვიანმა, რომ ორიოდე დღის შემდეგ მწერალთა კავშირის შენობასაც დააცლევინებენ ქართველ მწერლებს, არ იცის ბატონმა ჯანსულმა, რომ მთელ საქართველოსაც უცებ გაყიდიან, უფრო სწორედ არ სჯერა, თორემ ამათგან (მთავრობა მაქვს მხედველობაში) ყველაფერი მოსალოდნელია და ყველაფერი დიდი ხნის გაყიდული.

გაიყიდა საქართველო...

გაიყიდა სამშობლო...

„ჩარკვიან, როგორა ხარ". – ისევ ჩამესმის ბაიბურთის ირონიული ხმა...

მერამდენედ, ჰოს!

მერამდენედ!

ჯანსული ბობოქრობს როგორც ყოველთვის, შემდეგ ჩერდება და... უკვე მოგვიანებით მოსული, ქულებდამგროვებელი პოლიტიკოსების დრო დგება, რომლებიც ნელ-ნელა ემატებიან შეკრებილ ხალხს.

– წამო, კოია ვნახოთ! მერე იქნებ ავიდეთ შენობაში, – მეუბნება ჯანსული.

– გიორგევიჩ, ჯანუკი მოვიდა – წინ გავუსწარი ბატონ ჯანსულს.

– ვიცი, შვილო... ის კაცია! – მეუბნება კოია და ცერა თითით ცრემლს იწმენდს.

* * *

**P. S.** მაინც მოვახერხეთ ჩვენს „სამშობლოში" შესვლა მე, ჯანსულ ჩარკვიანმა, ვალიკო სიმონიშვილმა და ცნობილმა ფოტოკორესპონდენტმა გივი ჯოლბორდმა. მოვახერხეთ, ოღონდ მეორე დღეს. გაძარცვულ-გაპარტახებული, მინგრეული შენობაღა შეგვრჩა ხელში, ᲒᲐᲑᲐᲘᲑᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ.

ჩვენი ოთახები დავიარეთ.

ვილენ მარდალეიშვილის ოთახში გოდების კედელივით დაგვხვდა სათაყვანებელი ქართველი მწერლების ფოტოებით ერთ დროს დამშვენებული კედელი (ვისაც შეგვეძლო ყველა ვჩუქნიდით მწერალთა და პოეტთა ფოტოებს პოეზიაზე თავგადაკლულ ვილენს) მათი სურათების გარდა ყველაფერი გაუტანიათ, რისი გატანაც შეეძლოთ. აბა მწერალ-პოეტთა სურათები რაღაში სჭირდებოდათ დამრბევლებს. სწორედ აქ არის გადაღებული ეს ფოტოც, გივი ჯოლბორდმა, რომ შემოგვინახა იმ ავადსახსენებელი დღეების გასახსენებლად, უფრო სწორედ ისტორიისთვის შემოსანახად, თორემ ჩვენ... ჩვენ „სამშობლოში" დაბრუნების იმედით ვცხოვრობთ „სამშობლოგაყიდულები".

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ**



ავტორი, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი და ვალიკო სიმონიშვილი დარბეულ რედაქციაში.

# სხვადასხვა

● „ბედნიერია ჩვენი ერი იმით, რომ მისი სულიერი მამა თქვენ ბრძანდებით“, — მადლიერებით მიმართა პატრიარქს პაატა ბურჭულაძემ





◎ „იავნანას“ მადლი

## „ის, რაც ვიწამე“

კვლავ გაერთიანდა საზოგადოებრიობა კეთილი ხაქმისთვის. პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდ „იავნანას“ ეგიდით გამართული საღამო „ის, რაც ვიწამე“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 30 წლისთავს მიეძღვნა.

ნიშანდობლივია, რომ მზრუნველობამოკლებული ბავშვების სასიკეთოდ გამართულ ასეთ საქველმოქმედო აქციებს ყოველთვის ფარავს ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევის მადლი, მაგრამ ამ საღამოს მისი მადლი კიდევ უფრო განსაკუთრებული იყო, პატრიარქი თავად ესწრებოდა ამ აქციას.

**„ბედნიერია ჩვენი ერი იმით, რომ მისი სულიერი მამა თქვენ ბრძანდებით“,** — მადლიერებით მიმართა მან პაატა ბურჭულაძემ და ფონდის სახელით მადლიერება გამოხატა დარბაზში მყოფთა მიმართაც, რომლებიც ბილეთის საფასურით „იავნანას“ შეეწივნენ და ამასთან ერთად, საღამოს სიურპრიზებიც გაამხილა.



აბაშიძეების მრავალშვილიანი ოჯახი

...სცენაზე იდგა ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, რომლის ნიჭიერება დიდი ხანია აღიარა და შეიყვარა ქართველმა ხალხმა. ქართული თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ამჯერად ერთხელ კიდევ წარმოჩნდა როგორც მხატვრული კითხვის დიდოსტატი. მან დიდი გრძნობით გააცოცხლა ქართული პოეზიისა და პუბლიცისტიკის ნიმუშები. მისი მღელვარე, ემოციური და გამჭოლი ხმა მსმენელთა გულის გულამდე აღწევდა და უსათუოდ ნერვს ათრთოლებდა. თურმე როგორ მოგვნატრებია იგი სცენაზე. სასწაულმოქმედი ხმით ლიტერატურული მასალის მისეულმა გააზრებამ განსაკუთრებული აქტუალურობით გაიჟღერა და ერთი შეკრული, მთლიანი სპექტაკლის სახე მიიღო. ქართულ საგალობლებს ამ სპექტაკლში შთამბეჭდავი დატვირთვა ჰქონდა. ჩვენი საგანძურიდან ამოკრეფილ შედევრებთან ერთად ამ დღეს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საგალობლებიც აჟღერდა — ღვთით ბოძებული ნიჭიერების დასტური, ღმერთთან მიახლოებული კაცის ვედრება-გალობანი. ისინი სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდმა შეასრულა, სოლისტებად კი მოგვევლინენ თამრიკო ჭოხონელიძე, მარიამ როინიშვილი და მამუკა ცეცხლაძე, რომლებმაც ფაქიზი გემოვნება და დიდი სითბო ჩააქსოვეს შესრულებაში.

**„ის, რომ პატრიარქს ყოველი ჩვენგანის ცოდვები თავის თავზე აქვს აღებული, ეს ყოველივე ნათლად ვლინდება მის მართალ, ღრმა და მრავლისმთქმელ მელოდიებში, ერთი შეხედვით თითქოსდა მარტივ საგალობლებში დიდი სიბრძნე და სიმართლეა ჩაქსოვილი“,** — ამბობს თამრიკო ჭოხონელიძე.

საღამოს რეფრენივით გასდევდა თავისუფლების იდეა. ბეთჰოვენის ეგმონტი გაცოცხლდა ზინა კვერენჩხილაძის, ახალგაზრდა ვოკალისტის მარიკა გულორდავასა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით, დირიჟორ დავით მუქერიას ხელმძღვანელობით.

ზინა კვერენჩხილაძის მღელვარედ წაკითხულ მონოლოგს მსმენელის ოვაცია მოჰყვა, ხოლო მარიკა გულორდავას ლამაზი ტემბრის ხმით აჟღერებულ ორ სიმღერას — ლაშქრულს („გრიალებენ დოლები“) და ლირიკულს („სიხარულშიც, მწუხარებაშიც“) მსმენელმა გულწრფელი აპლოდისმენტები შეაგება.

ტრადიციისამებრ საღამოს დასასრულს პაატა ბურჭულაძემ გაახმიანა კიდევ ერთი სიკეთე — ფონდ „იავნანას“ სახელით საღამოს გენერალურმა სპონსორმა ზაზა სიორიძემ ოროთახიანი ბინის გასაღები გადასცა საბავშვო სახლში მობინადრე აბაშიძეების ექვსშვილიან ოჯახს.

ესეც ამ საღამოს დიდი მადლი.

როგორ მოუხდა ამ საღამოს დიდი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის გზავნილი პატრიარქისადმი.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

გახსენება

## ანდრო კიკნაველიძე

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანას დააკლდა დიდი მეცნიერი, უზადო პედაგოგი და აღმზრდელი, გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, მრავალმხრივ შემკული პიროვნება, აკადემიკოსი ანდრო კიკნაველიძე, რომელმაც საზოგადოების მეხსიერებაში, ოჯახის, ნათესავების და მეგობრებში წრეში კაცურ-კაცობის და სიჩაუქის სანაქებო და დიდებული კვალი დატოვა.



მისი მიმზიდველობის ძალა ადამიანის სულში ჩაწვდომის, ქველმოქმედების, სითბოს გაცემის და სიკეთის თესვის ბუნებით მომადლებულ უნარში გამოიხატებოდა.

ბატონმა ანდრომ, როგორც მეცნიერმა გააგრძელა, განავითარა და გაამდიდრა ქართული აგრარული სკოლის წარმომადგენელთა მიერ დამკვიდრებული სასახელო მეცნიერული ტრადიციები, რითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, სახელი განუმტკიცა და აღიარება აუმაღლა ეროვნულ აგრარულ სკოლას.

ბატონი ანდრო ბევრი ჭირ-ვარამგამოვლილი კაცი გახლდათ. მას შვიდამდე სხვადასხვა ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წუთამდე თავდაუზოგავი შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა, განუწყვეტლივ მუშაობდა ახალი იდეების და მიმართულებების შექმნასა და დანერგვაზე, მზრუნველობას არ აკლებდა მშობლიურ სოფელს — კიკნაველეთს, თითქმის ყოველდღე ფუსფუსებდა საკუთარ აგარაკზე ქოშიგორაზე, რომელიც მან თავისი ხელით ააშენა და დაამშვენა, მხარში ედგა და ყურადღებას არ აკლებდა ახალგაზრდებსა და ნათესავებს. კვირა არ გავიდოდა, რომ მის ოჯახში თავი არ მოეყარათ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს რიგითიდან აკადემიკოსამდე. საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა და დიდი ზეიმით აღნიშნა მისი დაბადების 80 წლის იუბილე.

მან თავისი ყოფით და ცხოვრების წესით, სიქველის, სიყვარულის და სულიერების სანაქებო მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას, რომლის უმწიკვლოდ ტარება მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

ნათელი ჰფენოდეს მას და ღვთიური მადლი არ დაკლებოდეს მის ოჯახსა და მისი გზის ჭეშმარიტ დამფასებლებს.

**ნოდარ ბაქრაძე**



შვილი გურამ გვეტაძე, რძლები ლია ანდრონიკაშვილი, ცისანა სანოძე, ხათუნა გონგლიაშვილი, შვილიშვილები გია, მაია, ნინო გვეტაძეები, სიძე ვახტანგ უგულავა, შვილთაშვილები სოფიკო, სანდრო, კახა, ვაჟა, მარიამი, ბიძაშვილები ქეთინო, გულნარა, მზია ფურცელაძეები, მაზლიშვილები რაულ, ომარ, თამარ გვეტაძეები, მულისშვილები ცისანა ლალიაშვილი, ენდი ყიფიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რაისა გვეტაძე**

პანაშვიდი 11, 12 X, 16 სთ. გამოსვენება 13 X, 14 სთ. მისამართი: პეკინის ქუჩა №31. 3 დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ გურამ გვეტაძეს დედის

**რაისა გვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე ცენტრის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, საკურორტო საქმის გამოჩენილი ორგანიზატორის, II მსოფლიო ომის მონაწილის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის

**იური ვლადიმერის ძე პრუსეცკის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს, ბალნეოლოგიური კურორტის ექიმს, ქალბატონ ეთერ ცომაიას და მის ოჯახს.

შპს „ქ.თბილისის №2 სამშობიარო სახლი“ აცხადებს კონკურსს სამშობიაროს საწესდებო კაპიტალში რიცხული 11,2 კვ.მ.-ზე ფართის (1 წლის ვადით) იჯარით გაცემაზე. შემდეგი პირობებით:

საწყისი საჯარო ქირის ოდენობა 15 ლ.1 კვ.მ. დღგ-ს გარეშე. მისამართი: ქ.თბილისი დ.უზნაძის ქ.№58. საკონტაქტო ტელეფონი 96-03-72. განცხადებების მიღება იწარმოებს გამოქვეყნებიდან ვადით.

დირექტორი გ. თევდორაშვილი

შპს „ფარმაკი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის 13.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

№ 195. ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი. 2007 წელი.

● არქივებში დაცული დოკუმენტები შეისწავლეს და დაამუშავეს ამერიკელმა, გერმანელმა, პოლონელმა, უკრაინელმა, რუსმა და აზერბაიჯანელმა მკვლევარებმა





◉ ინფორმაცია



## ახალი საბავშვო ბაღი დიღმის მასივში

**თბილისის** მერმა გიგი უგულავამ დიღმის მასივში ახლადგარემონტებული 23-ე საბავშვო ბაღი გახსნა.

პრეზენტაციას თბილისის მერის მოადგილე გიორგი მელაძე, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი რამაზ სულამანიძე და სხვა პირები ესწრებოდნენ.

ქალაქის მერის გიგი უგულავას განცხადებით, წელს თბილისში კიდევ 30-მდე ბაღი გარემონტდება. მომავალი სასწავლო წლისთვის კი, ქალაქში არსებულ ყველა საბავშვო ბაღში გაზის გათბობა დამონტაჟდება. გარდა ამისა, პრეზიდენტის ინიციატივით, ქალაქის საბავშვო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებს, რომელთა რაოდენობა სულ 8 ათასია, ერთჯერადი ვაუჩერები დაურიგდებათ. ამით მასწავლებლები 50-50 ლარის მოხმარებული გაზისა და დენის საფასურს დაფარავენ.

## „აფხაზეთის ხმის" სიხშირეს ვერ ჩაახშობენ

**ქართული** მხარე აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებას გამოეხმაურა იმის შესახებ, რომ რადიო „აფხაზეთის ხმის" სიხშირეს ჩაახშობს.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრის ხელმძღვანელმა რაულ ქირიამ განაცხადა, დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის ტელევიზიის ამოქმედება ვერ მოახერხა და ამის გამო, პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს. მისივე თქმით, ბალაფშის პრესსამსახურის ხელმძღვანელის კრისტიან ბჟანიას განცხადება აბსურდია და დე ფაქტო მთავრობა ახალი რადიოს სიხშირის ჩახშობას ვერ მოახერხებს, რადგან მათ შესაბამისი ტექნიკური ბაზა არ გააჩნიათ.

რაულ ქირიას განცხადებით, რადიო „აფხაზეთის ხმა" აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე მაუწყებლობს და მოსახლეობა რადიოს რედაქციას ეხმიანება.

**ინტერპრესნიუსი**

◉ მეზობლებთან

## უცხოეთში მარტო ქართველი დეპუტატები არ გრიალებენ

### სომხეთის პარლამენტის წევრმა მოსკოვის კაზინოში დანა და ტყვია „მოიგო"

— **საერთოდ** ის კარგი დეპუტატია და სხდომებს არ აცდენს, ბევრსაც მუშაობს. მოსკოვში რომ იმყოფებოდა, ჩვენ თვითონ ინტერნეტიდან შევიტყვეთ — არც ფრაქციასა და არც პარლამენტს რუსეთში არ მიუვლენიათ, — ასე განაცხადა სომხეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რესპუბლიკური პარტიის ფრაქციის წარმომადგენელმა.

ის „კარგი დეპუტატი", „სხდომების არგამცდენი" და „დაუღალავი მომუშავე" ტიგრან არზაკანციანი მოსკოვში საკმაოდ ხშირად დადიოდა პირად საქმეებზე და არც იქაური სამორინეებისათვის იყო უცხო სტუმარი.

სექტემბრის მიწურულის იმ ერთ-ერთ დღესაც ჯერ რესტორანში მოილხინა კარგად, მერე კაზინო „მეტროპოლს" მიაშურა და რულეტს შეეთამაშა... დილის 4 საათი იქნებოდა, როცა დარბაზის სიღრმეში მყოფს დანით თავს დაესხა კავკასიური გარეგნობის მამაკაცი და მაჯებსა და მხრის არეში დაჭრა. ტიგრანი დაუსხლტა დამნაშავეს, რომელმაც პისტოლეტი დააძრო და ესროლა. დეპუტატს მარცხენა ბეჭში მოხვდა ტყვია და მძიმე მდგომარეობაში გააქანეს საავადმყოფოში. „მეტროპოლში" ისე იყვნენ მომხდარით შოკირებული, რომ ვერც კი გაიგეს, თუ როგორ გაიქცნენ თავდამსხმელი და მისი თანამზრახველი — სავარაუდოდ აზერბაიჯანელები.

შარშან აზარტული თამაშების მოყვარული ტიგრანი, აქვე სათქმელად, არცთუ ურიგო მოკრივე, იმავე სამორინეში უმოწყალოდ გალახა ოცამდე (!) კაცმა. იმ შემთხვევის შემდეგ დეპუტატს მთელი ნახევარი წელიწადი მოუწია მკურნალობა და სომხეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოცილება. მაშინ ამბობდნენ, რომ პარლამენტარმა „ტანისამოსიანა" წააგო ყველაფერი და იმ ყბადაღებული კაზინოს ვალი რატომ მილიონ დოლარამდე არ დაიდო...

**МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ**

◉ ფაქტი

## ცენტრალური არქივი 2 468 მოქალაქეს მოემსახურა



**იუსტიციის** სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური არქივის თანამშრომლები, მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში, 2 468 მოქალაქეს მოემსახურნენ. არქივიდან მათ, მოთხოვნის შესაბამისად, თემატური და სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობები მიიღეს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, ამავე პერიოდში ცენტრალური არქივების სამკითხველო დარბაზებში 248 მკვლევარმა იმუშავა, მათგან 18 უცხოეთის მოქალაქე იყო.

არქივებში დაცული დოკუმენტები შეისწავლეს და დაამუშავეს ამერიკელმა, გერმანელმა, პოლონელმა, უკრაინელმა, რუსმა და აზერბაიჯანელმა მკვლევარებმა.

წერილობითი, კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტების კვლევის თემატიკა მრავალფეროვანი იყო: საქართველო-ამერიკის, საქართველო-აზერბაიჯანის, საქართველო-პოლონეთის, საქართველო-უკრაინის ურთიერთობა; ეროვნული სამხედრო მმართველობა მე-19 საუკუნის კავკასიაში; მე-19-მე-20 საუკუნეში კავკასიაში მცხოვრები გერმანელი კოლონისტები; ამიერკავკასიის სეიმი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში; საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების საბიუჯეტო კანონმდებლობა; საქართველოს ეროვნული თვითშეგნების ფორმირება 1921-1980 წლებში; საქართველოს კათოლიკური ეკლესია 1966-1972 წლებში.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

— **დღეს** ყური მეორე ადგილასაც გავიხვრიტე! — ეუბნება ერთი ქერათმიანი ქალი მეორეს.
— მერე, ახლა უკეთ გესმის?

* * *



— **პროფესორო**, იქნებ ჩათვალა მოგვცეთ... აი კანფეტები, — ეუბნებიან სტუდენტები.
— რა კანფეტები, თქვენ რა, გაგიჟდით? თქვენს ცოდნაზე ხომ ადამიანთა სიცოცხლეა დამოკიდებული! ამას მინიმუმ ტორტი და შამპანურები სჭირდება.

* * *

**ისლანდიის** სანაპიროსთან ავარია განიცადა ტანკერმა, რომელსაც სამასი ტონა ტვირთი გადაჰქონდა. ხელისუფლება ერთობ შეწუხებულია იმით, რომ ვეშაპები ერთიმეორის მიყოლებით გამოირიყებიან ნაპირზე და ითხოვენ ბანკეტის გაგრძელებას.

* * *

**გინდა**, რომ უკვდავი იყო? იეღოვას მოწმეები თქვენს ცხოვრებას უფასოდ აქცევენ ისეთ მოსაწყენად, რომ ის უსასრულოდ მოგეჩვენებათ.

* * *

— **შეიძლება** თქვენთან მაგიდის შეკვეთა? — რეკავს ტიპი რესტორანში.
— რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ აქ ავეჯს არ ვამზადებთ და არ ვყიდით?

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები
(კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87; 899 53-76-16)
შპს „თანადგომა -1" (დავით აღმაშენებლის 150. 899 79-76-79)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90-07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.